# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№80 (9760) 2024 წლის 8 ივლისი. პარასკევი

ფასი 1 ლარი




3-4

## სანამ უფალი ჯო ბაიდენს ჩასჩურჩულებდეს!



## ადამიანი მართლაც თავისუფლებით ყოფილა დაწყევლილი

## კაცობრიობა არჩევანის წინაშე

6

## ხომ არ არის ეს დიდი ფულის შოვნის უღირსი ხერხი?!



ფრთხილად, ქუჩებში მძარცველი კამერები გვითვალთვალებენ!

2

### მოძრაობის წესების დარღვევის გამო,მთავრობამ რეკორდული — 90 მლნ-ის ჯარიმები აკრიფა!

ჩვენო გონიერო პრემიერ-მინისტრო! გთხოვთ, დროულად მიხედოთ ამ სახალხო პრობლემას!

## მტერი როცა გლანძღავს, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად იქცევი!



3

## სევდიანი სონატა

ლიანა ისაკაძეს



სულ წამით, ანაზდად,
გაირინდნენ თითები,
გულმა ხსნა, იდუმალ,
სამყაროს შესთხოვა,
ლარნაკში გაფითრდნენ
უღონო ტიტები,
უზედო აჩრდილი
ზედს გამოეთხოვა!
ცას დარჩა სახსოვრად
გამის მდუმარება,
საწუთროს, შეუცნობ
დარდით ბინდიანი,
ქართული სინამდვილის
მარადი მწუხარება –
თალხით შემოსილი
ორი შვიდიანი!
სათუთად ჩამოჰკრეს
მიმწუხრის ზარებმა,
სულს ცისკენ წარუძღვნენ
ღვთიური სიმადლით,
ლიანა ისაკაძე –
ზღვის ამქუხარება,
ლიანა ისაკაძე –
მშვენება წინანდლის!
უფალო, შენ გვედრი,
მუზების ლაღ დობილს,
სიმშვიდე მომადლე,
ნათელი ჰფენია,
ლიანა ისაკაძე –
ქართული სინდისი,
ლიანა ისაკაძე –
ქართული გენია!

**დადუნ თურქაძე**

7. 7. 2024 წელი

იხ. მე-11 გვ.

## დავით ჩიხელიძე: ერთობლივი წვრთნების გაუქმება აშშ-ის მხრიდან ღალატს ნიშნავს!



8

## რეგულირდება თუ არა ზღვაზე პარაშუტით ფრენა?



11




12

## 19 სექტემბერი, პრემიერა ესპანეთში

# სატირა(ლი) ამბები

## აშშ-ს იმედი აქვს, რომ გაისად საქართველოს, ამერიკის წინაშე ცალ ფეხზე მდგომი ხელისუფლება ეყოლება!

– გულზე ხელი დაიდეთ, რამდენმა გახსნა პენტაგონის ვებგვერდი და ბოლომდე წაიკითხა სრული ტექსტი საქართველოში „**Noble Partner**“-2024 („ღირებული პარტნიორი“-2024) წვრთნების გაურკვეველი ვადით გადადებაზე?! ვინძლო ბევრმა არა. ტექსტში განსაკუთრებით საგულისხმო ბოლო პარაგრაფებია, სადაც წერია, რომ:

აშშ გააგრძელებს პარტნიორობას საქართველოს თავდაცვის ძალებთან, და ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ წვლილს რაც მის პარტნიორებს (ამ შემთხვევაში საქართველოს) შეაქვს ასეთ სწავლებებში. იქვე ხაზგასმულია, რომ შეერთებული შტატები „მოუთმენლად ელის“ მომავალ თანამშრომლობას პარტნიორებთან (ანუ საქართველოსთან) 2025 წელს და ა.შ.

პირადად ჩემთვის, სწორედ ეს ბოლო ორი პარაგრაფია მნიშვნელოვანი, ვიდრე განცხადების დასაწყისში მოყვანილი „ბლაბლა.“ მნიშვნელოვანია სწორედ პოლიტიკური დატვირთვის გამო. აშშ გვეუბნება და არა მარტო ჩვენ (კიდევ ვის-გასაგებია!), რომ ხელს არ გაგიშვებთ, დახმარებას გავაგრძელებთ, აი სამხედრო სწავლებას კი 2025 აღვადგენთო. ეტყობა, იმედი აქვთ რომ გაისად საქართველოს, ამერიკის წინაშე ცალ ფეხზე მდგომი და მათი ბრძანებების თუ სურვილების უსიტყვოდ შემსრულებელი ხელისუფლება ეყოლება. ამისთვის კი აშშ ინტენსიურად მუშაობს და სწავლების გადადებაც ამ გეგმის ნაწილია.

**P.S.** სამხედრო სწავლების ჩატარება, მითუმეტეს შორეულ საქართველოში, ამერიკულ ბიუჯეტს ფული უჯდება. პრაგმატული ამერიკელები კი ერთ ცენტსაც არ ჩადებენ ისეთ საქმეში, სადაც ინტერესი არ აქვთ და სარგებელს არ ელოდებიან. როგორც ერთმა ნაცნობმა სამხედრომ მითხრა, საქართველოში ჩატარებული წვრთნებით, ამერიკელებიც იღებენ კარგ სარგებელს – დეტალებს არ მოვყვები“.



**ზაალ ანჯაფარიძე.**

## მე გახლავართ ცოცხალი მაგალითი, რომელიც მადლიერია ბიძინასი იმისთვის, რაც კარგი გაუკეთებია!

– მე გახლავართ ცოცხალი მაგალითი იმ ადამიანისა, რომელიც მადლიერია ბიძინასი იმისთვის, რაც კარგი გაუკეთებია ბევრისთვის და მათ შორის ჩემთვის. ამაზე ბევრი მიწერია წიგნში.

ასევე ცოცხალი მაგალითი ვარ იმ ადამიანის, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს მას იმ დამანგრეველი, მანკიერი პოლიტიკისთვის, რომლითაც ქვეყანა კატასტროფის ზღვარზე დააყენა და ყველაფერს ვაკეთებ მისი ძალაუფლებისგან ჩამოშორებისთვის.

არ არსებობს აბსოლუტური ბოროტება, ისევე როგორც არ არსებობს აბსოლუტური სიკეთე.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ადამიანის შექება, თუ ის რამე კარგს გვიკეთებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს სიჩუმეს, თუ იგივე ადამიანი რაიმე მნიშვნელოვანს აფუჭებს.

წარმატებები ჩვენს ფეხბურთელებს, რომლებიც ყველაფერთან ერთად ამ ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არიან.



**გია ხუხაშვილი**

# ხომ არ არის ეს დიდი ფულის შოვნის უღირსი ხერხი?!

## მოძრაობის წესების დარღვევის გამო, მთავრობამ რეკორდული — 90 მლნ-ის ჯარიმები აკრიფა!



**ფრთხილად, ქუჩებში მძარცველი კამერები გვითვალთვალებენ!**

2024 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში სახელმწიფომ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაწერილი ჯარიმების აკრეფით რეკორდული 90 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს ხაზინის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიდან ირკვევა.

დოკუმენტის თანახმად, 53.8 მილიონი ლარი შევიდა სახელმწიფო ბიუჯეტში, 35.8 მილიონი ლარი კი ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში მიიმართა.

შედარებისთვის, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის გამოწერილი ჯარიმების მოცულობამ 87 მილიონი ლარი შეადგინა, შესაბამისად ამ მიმართულებით დაწერილი საჯარიმო შემოსავლები წელს 3 მილიონით გაიზარდა.

**რედაქციისგან:**

**მართლაც, ამდენი მოძრაობის ელემენტარული წესების დამრღვევი მძღოლი გვყავს თუ... ეს თანამედროვე პოლიციის (შინაგან საქმეთა სამინისტროს) ინტერესებზე მორგებული საიდუმლო ჩანაფიქრია?!**

**ამ პატარა, ღარიბ ქვეყანაში მოძრაობის წესების დარღვევის მომიზეზებით აშკარად გაზვიადებული ციფრებით და შესაბამისად, ჯარიმებით მოპოვებული მილიონები ფულის შოვნის უღირსი მეთოდი ხომ არ არის?!**

**ჩვენო გონიერო პრემიერ-მინისტრო! — მისი უდიდებულესობა ,,მძღოლთა კლასის" მოთხოვნით, გთხოვთ, დროულად მიხედოთ ამ სახალხო პრობლემას!**

**ამდენი დაჯარიმებული მძღოლი, უბრალოდ, სირცხვილია! ჯარიმების გასამმაგება ხომ აშკარა ყაჩაღობაა!**

# გმირთა მოედანთან ბენზინგასამართ სადგურებს იღებენ



გმირთა მოედანზე ბენზინგასამართი სადგურების აღება დაიწყეს. როგორც თბილისის მერიაში განაცხადეს, პროცესი უახლოეს პერიოდში დასრულდება.

აღსანიშნია, რომ დაახლოებით ორი თვის წინ, თბილისის მერმა, კახა კალაძემ განაცხადა, რომ გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ბენზინგასამართი სადგურების მფლობელებთან ადგილმონაცვლეობის შესახებ მოლაპარაკებები ფაქტობრივად დასრულებული იყო. საუბარია სამ კომპანიაზე: „ლუკოილ ჯორჯია“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ და „სან პეტროლიუმ ჯორჯია“, რომელთა სადგურები „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ არის განთავსებული.

კალაძის თქმით, მოლაპარაკებების შედეგად, შეთანხმება მიღწეულია და ხელშეკრულებები გაფორმებულია, რის საფუძველზეც მოხდება ადგილმონაცვლეობები.

ყოველივე ეს მერიამ გმირთა მოედნიდან სანაპიროსკენ მიმავალი გზის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად გადაწყვიტა.

# რაჭის ეროვნული პარკის განვითარებას 4 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება

**რაჭის ეროვნული პარკის განვითარებისთვის, კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მიერ ჯამში, დაახლოებით, 4 248 650 ლარის ინვესტიციის განხორციელებაა დაგეგმილი. ინფორმაციას ამის შესახებ დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF) გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს კვადროციკლები გადაეცა

„კვადროციკლებით აღიჭურვა რაჭის ეროვნული პარკი, რომელიც ახლად შექმნილი დაცული ტერიტორიაა. ახალი სატრანსპორტო საშუალებები რეინჯერებს პატრულირების, ეფექტიანად განხორციელებაში შეუწყობს ხელს.

დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კავკასიის ბუნების ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება



5 წლის განმავლობაში რაჭის ეროვნული პარკის აღჭურვას ითვალისწინებს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და ინვენტარით

ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიული ტრენინგ კურსების გავლის გზით“, – ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა

# მტერი როცა გლანძღავს, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად იქცევი!





## ირაკლი კობახიძე: ბიძინა ივანიშვილი არის ყველგან, სადაც ქართულ საქმეს მხარდაჭერა სჭირდება, შეუძლებელია, ჯანსაღმა ადამიანმა მადლიერება ფეხბურთელების შეურაცხყოფის მიზეზად აქციოს

**ყველა მიჩვეულია, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ყველგან, სადაც ქართულ საქმეს მხარდაჭერა სჭირდება. უცნაური სწორედ ის იქნებოდა, ქართული ფეხბურთის წარმატებას გვერდში რომ არ დასდგომოდა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სოციალურ ქსელში წერს.**

**როგორც ირაკლი კობახიძე აღნიშნავს, მადლიერება ღირსების ელემენტარული გამოხატულებაა, რომელიც ნაკრების ბიჭებმა საფეხბურთო მოედანზე და მოედნის მიღმაც უკვე დიდი ხანია, დაამტკიცეს.**

**„ეს ერთი თვეა, საქართველოში მოვლენები ჩვეულ რიტმში ვითარდება და განსაკუთრებული არაფერი ხდება, გარდა ერთისა: ქართველმა ფეხბურთელებმა საქართველოს უდიდესი სიხარული აჩუქეს, როდესაც პირველივე ევროპის ჩემპიონატზე უდიდეს წარმატებას მიაღწიეს და ევროპა ქართული საფეხბურთო ნიჭის შესახებ აალაპარაკეს. ეს წარმატება იყო უდიდესი ბედნიერება ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია, 1990-იან და 2004-2012 წლებში დაკარგულ სიამაყის გრძნობას თანმიმდევრულად იბრუნებს.**

ყველაფერი დანარჩენი „მოსაწყენი“ ცხოვრების ჩვეულებრივი გაგრძელება იყო. არაფერი არაჩვეულებრივი არ იყო იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ქართველი ხალხისთვის მინიჭებული სიხარული დაუფასა და უპრეცედენტო ჯილდო გადასცა. მან გააკეთა ის, რასაც 3-მილიარდდოლარიანი ქველმოქმედების ფონზე ყველა ელოდა და შესაბამისად, ვერავისთვის გასაკვირი ვერ იქნებოდა. ყველა მიჩვეულია, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ყველგან, სადაც ქართულ საქმეს მხარდაჭერა სჭირდება. უცნაური სწორედ ის იქნებოდა, ის ქართული ფეხბურთის წარმატებას გვერდში რომ არ დასდგომოდა.

მადლიერებაც ხომ საზოგადოდ და მით უმეტეს, საქართველოში სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. შეუძლებელია, ჯანსაღმა ადამიანმა გაიკვირვოს და მით უმეტეს, ფეხბურთელების შეურაცხყოფის მიზეზად აქციოს ელემენტარული მადლიერება, რომელიც მათ გამოხატეს. მადლობა რომ არ გადაეხადათ, ზუსტად ეს იქნებოდა უცნაური. მადლიერება ღირსების ელემენტარული გამოხატულებაა, რომელიც ჩვენი ნაკრების ბიჭებმა საფეხბურთო მოედანზე და მოედნის მიღმაც უკვე დიდი ხანია, ჭარბად დაამტკიცეს.

„მოსაწყენი“ ცხოვრების ნაწილი იყო კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ რეაქციაც ფეხბურთელებისთვის გაცემულ ჯილდოზე. უკვე დიდი ხანია, მიჩვეული ვართ, რომ, როდესაც ქვეყანა წარმატებას ზეიმობს, კოლექტიურ „ნაცებს“ ბოღმა ახრჩობთ. „მოსაწყენი“ ცხოვრების ნაწილია ის, რომ „ნაცები“ ამ ქვეყნის დაუძინებელი მტრები არიან, რაც ქართულმა საზოგადოებამ უკვე დიდი ხანია, კარგად გაიაზრა. სწორედ ამიტომ მათ კიდევ ერთხელ სცადეს, ჩვეული „ღმუილით“ გადაეფარათ ის ზეიმი და ბედნიერება, რომელიც ქართველ ხალხს ნაკრების წარმატების შემდეგ დღემდე მოჰყვება.

ჩვენს საამაყო ფეხბურთელებს არ უნდა ეწყინოთ არცერთი ბოღმიანი სიტყვა, რომელიც ლიბერალურ-ფაშისტურმა უმცირესობამ მათ სრულიად ბუნებრივ მადლიერებას დაუპირისპირა. ქვეყნის მტერი როცა გლანძღავს, ეს ნიშნავს, რომ სწორად იქცევი და სწორი ადამიანი ხარ. ისინი ქვეყნის მტრები არიან, თქვენ კი პატრიოტები ხართ და ასეთ პირობებში, მათი თქვენთან დაპირისპირება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

**ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის – ქვეყნის მტრები წუხან, მაგრამ ქართული ფეხბურთი წინ მიდის. ლიბერალური ფაშიზმი ვერც საქართველოს და ვერც ქართული ფეხბურთის წინსვლას ვერ შეაფერხებს. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ მრავალი გამარჯვება გველის, რასაც ჩვენი პატარა, მაგრამ ამაყი ქვეყანა და საქართველოს ყველა პატრიოტი ასე ძლიერ იმსახურებს“,** – წერს ირაკლი კობახიძე.

პუბლიცისტური სჯანი

# სანამ უფალი ჯო ბაიდენს ჩასჩურჩულებდეს...



**რადგან მთელი საქართველოს უმთავრესი ყურადღების საგანი ისევ ფეხბურთთან დაკავშირებული მოვლენები იყო, ნება მიბოძეთ, მეც ამით დავიწყო.**

**სულითა და გულით ვუერთდები მთელი საქართველოს აღფრთოვანებას ქართველი ფეხბურთელების ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატების გამო. თუმცა დიდი მოკრძალებით იმასაც შევნიშნავ, რომ გადაჭარბებას სიკეთე არასოდეს მოუტანია და ცოტა ვნებების დაოკებაც არ გვაწყენდა.**

**განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია მილიარდერი ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებამ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის 30 მილიონი ლარით დაჯილდოების შესახებ. არ გაგიკვირდებათ და, საუბარია იმ საზოგადოებაზე, საკუთარ თავს „ოპოზიციას“ რომ უწოდებს. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ თურმე, არცერთი ოპოზიციონერი ბიძინა ივანიშვილისგან ჯილდოს არ მიიღებდა (აი, წმინდა დავით კეზერაშვილი სხვა საქმეა!).**

მოკლედ ასე:

ტორნადო (დავით) გაბუნია – აჰა, შენ კიკუ (ეროვნული ნაკრების წევრებს გულისხმობს, თ. ქ.), 30 მანეთი და გაიხადე!

მუსონი (შალვა) ნათელაშვილი – რა ვიცი, შეიძლება გამამტყუნოთ, მაგრამ ფეხბურთელთა ნაკრების წევრი რომ ვიყო, ბიძინას ნაჩუქარ ფულს ხელს არ მოვკიდებდი და უკიდურეს შემთხვევაში, გადავრიცხავდი მას ონკოპაციენტთა დახმარების ფონდში, ქუჩაში რომ ითხოვენ სიცოცხლის გადარჩენას. საინტერესოა ბატონი კაშია, როგორც ევროპის სტადიონებზე სექს-უმცირესობათა სიმბოლიკით მორბენალი და ამის გამო დიდი ვაების გადამტანი, ამ ივანიშვილისადმი



4 გვ.

# სანამ უფალი ჯო ბაიდენს ჩასჩურჩულებდეს...

მესამე გვერდიდან

**მადლობის გადახდისას მილიონების ჩუქების გამო, რა აზრისაა ოლიგარქისგან დაინიცირებულ ანტი ლგბტ კანონზე?** (სტილი დაცულია).

**ქარიშხალი (ლაშა) გუღაძე – ამ კაცმა არზია საქართველოს მოქალაქეები და საქართველოს ართმევს ევროპულ მომავალს. ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდი სიხარული, ბედნიერება და გამარჯვების მუხტი მოგვიტანეს, მაგრამ, შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი ვერ ხვდებოდეს, რა ზიანი მოაქვს საქართველოსთვის რუსულ კანონს და ივანიშვილის რეჟიმს და გვიანღა მიხვდნენ მოსალოდნელი კატასტროფის მასშტაბს. ფეხბურთელების თანატოლები სცემეს და სასამართლო ჯარიმებით აავსეს საქართველოს დაცვისთვის. განა ყველამ არ ვნახეთ, როგორი სტვენით შეხვდნენ მოქალაქეები ივანიშვილის მარიონეტს ეროვნული ნაკრების დახვედრის ზეიმზე?! თავს ნუ მოიტყუებთ, ეს კაცი საქართველოს მომავლით ვაჭრობს და თქვენს სახელსა და წარმატებასაც იყენებს ამისთვის. ეს ცუდი მაგალითია ახალგაზრდებისთვის – თქვენ კი მათი იდეალები ხართ ახლა** (სტილი დაცულია).

**ქარგორგალა (დავით) ქაცარავა – ქოცებმა გულშემატკივარს ნაკრები დაუმალეს. ბავშვებიც კი არ მიაკარეს სიახლოვეს. ამაშიც მაგარი მდაბიოები ყოფილხართ. ვერ მოგვპარავთ ნაკრებს, ვერ მიისაკუთრებთ მას და ჩვენი ბიჭების წარმატებას. ის თქვენი საკუთრება არ არის. დრონი მეფობენ და არა ქოცები** (სტილი დაცულია).

**ქარაშოტ (გია) ხუხაშვილი – მე გახლავართ ცოცხალი მაგალითი იმ ადამიანისა, რომელიც მადლიერია ბიძინასი იმისთვის, რაც კარგი გაუკეთებია ბევრისთვის და მათ შორის – ჩემთვის. ასევე ცოცხალი მაგალითი ვარ იმ ადამიანის, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს მას იმ დამანგრეველი, მანკიერი პოლიტიკისთვის, რომლითაც ქვეყანა კატასტროფის ზღვარზე დააყენა და ყველაფერს ვაკეთებ მისი ძალაუფლებისგან ჩამოშორებისთვის** (სტილი დაცულია).

გეთანხმებით, მართლაც ძნელი მისახვედრია, რას ერჩიან ეს (და ბევრი სხვა) მრისხანე ადამიანები ხელგაშლილ მილიარდერს საკუთარი ფულის ასე უშურველად გაცემისთვის. კიდევ კარგი, ალბათ ჯერ არ იციან, რომ მას ამ 30 მილიონის გარდა ქველმოქმედებაზე კიდევ სამი მილიარდი აქვს გაცემული, თორემ ლანძღვა მერე გენახათ!

გასულ კვირაშივე საქართველოს ნაკრების წევრმა, შესანიშნავმა ფეხბურთელმა ბუდუ ზივზივაძემ ბოლო მოუღო სპეკულაციებს ევროპის ჩემპიონატზე მისი უთამაშებლობის გამო. ერთ-ერთ ოპოზიციურ ტელეარხზე გამოსვლისას მან განაცხადა: „ბედნიერი ვარ ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობით. გადაწყვეტილებას მთავარი მწვრთნელი იღებს და მე, როგორც ნაკრების რიგითი წევრი, პატივს ვცემ მას. როგორც ყველა ფეხბურთელს, მსურს, რაც შეიძლება დიდი დრო გავატარო მოედანზე, თუმცა რამდენი წუთიც მივიღე, იმ წუთებითაც ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. ჩემს სტატუსებს ამაში არანაირი როლი არ მიუძღვის."

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ნაკრების საკმაოდ შთამბეჭდავი გამოსვლების შემდეგ, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა მთავარ მწვრთნელ ვილი სანიოლზე. მისი გადაბირებისთვის განსაკუთრებულ აქტივობას უმდიდრესი არაბული ქვეყნები იჩენენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მისი შენარჩუნება საქართველოსაც სურს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მუსიე სანიოლის საქართველო მეორე სამშობლოდ მიაჩნია, გასაკვირი არ იქნება, მან დიდ ფულს საქართველოსა და ქართველი ხალხის დიდი სიყვარული ამჯობინოს.

* * *

**გასულ კვირას მსოფლიოსთვის და, შესაბამისად, ჩვენთვის მეტად საყურადღებო მოვლენები განვითარდა მეზობელ ირანში – საპრეზიდენტო არჩევნებს ვგულისხმობ. შეგახსენებთ, რომ რიგგარეშე არჩევნები მაისის თვეში პრეზიდენტ იბრაჰიმ რაისის ავიაკატასტროფაში დაღუპვის გამო დაინიშნა. საბოლოოდ გამარჯვება რეფორმისტმა მასუდ პეზეშკიანმა, აზერბაიჯანულ-ქურთული წარმომავლობის ყოფილმა კარდიოქირურგმა მოიპოვა. იგი ცნობილია თავისი ლიბერალური შეხედულებებით, რაც რადიკალურად ეწინააღმდეგება ირანის შიიტური მმართველობის სისტემასა და პირადად ერთპიროვნული მმართველის აიათოლა ჰომენეის შეხედულებებს.**



თუ მის წინასაარჩევნო და პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გაკეთებულ განცხადებებს გავითვალისწინებთ, მისი დაპირისპირება აიათოლას ხელისუფლებასთან გარდაუვალია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ირანის პრეზიდენტს ფაქტობრივად არ გააჩნია ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობები, ყველა ბერკეტი აიათოლას ხელშია. თუმცა, მისი დემოკრატიული ხასიათის განცხადებები მაინც მრავლისმთქმელია.

* * *

**4 ივლისს შესრულდა 248 წელი ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. შეგახსენებთ, რომ 1776 წლის ამ დღეს ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილი დამოუკიდებლობის დეკლარაცია ამერიკის 13 შტატისთვის. საინტერესოა, რაც ჩვენთვის ასე სანატრელი ქვეყნის ამ დეკლარაციაში ჩაიწერა – ადამიანები არიან თანასწორი. მათი ხელშეუხებელი უფლებებია სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა. მიუღებელია კოლონიური ჩაგვრა და ადამიანების წოდებრივად დაყოფა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად საკანონმდებლო წესით გაუქმდა ფეოდალური წოდებები, დამყარდა პოლიტიკური თანამდებობები. ეს ყველაფერი შეეხო მხოლოდ თეთრკანიან მოსახლეობას. პლანტატორების კატეგორიული მოთხოვნით, დეკლარაციიდან ამოღებული იქნა ზანგების მონობისგან განთავისუფლება. მეტიც, დეკლარაციაში საერთოდ არაფერია ნათქვამი ამ ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობის, ინდიელების შესახებ.**

ნება მიბოძეთ, 2480-წლოვანი (თუ მეტი არა!) სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის სახელით სახელმწიფოებრიობის 248-ე წელი მივულოცო ჩვენს დიდ მეგობარ ქვეყანას, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თვით მონობის ოფიციალურად გაუქმებაც კი მოახერხა!

გასულ კვირას მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა წინა საპრეზიდენტო არჩევნების ეგიდით გამართული დებატები აშშ-ის მოქმედ და ყოფილ პრეზიდენტებს, 82 წლის ჯო ბაიდენსა და 78 წლის დონალდ ტრამპს შორის. ამ პატივცემული პერსონების ასაკი მხოლოდ იმიტომ გავიხსენე, რომ რაც დებატების დროს ამ სოლიდურმა ბატონებმა ერთმანეთს აკადრეს, ნახალოვკელ „ბირჟავიკებს" სიზმრადაც არ მოლანდებიათ. განსაკუთრებით ეს ბაიდენისა და ტრამპის ოჯახურ და ქალებთან ურთიერთობებს შეეხება.

**არანაკლებ საინტერესო და მრავლისმთქმელი იყო მოქმედი პრეზიდენტის სატელევიზიო განცხადება დებატების შემდეგ - „თუ ყოვლისშემძლე უფალი ჩამოვა და იტყვის: „ჯო, გამოდი რგოლიდან", მე რგოლიდან გამოვიდოდი. ყოვლისშემძლე უფალი არ ჩამოდის... მჯერა, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში პრეზიდენტის მოვალეობების შესასრულებლად საჭირო გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები მაქვს და ასე რომ არ იყოს, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებდი".**

იმედია, არჩევნებამდე უფალი ჩამოვა და პრეზიდენტობის ორივე კანდიდატს რამეს ჩასჩურჩულებს. მანამდე კი ჯოსა და დონალდის მხარდამჭერებს დიდი საფიქრალი გაუჩნდათ.

* * *

**გასულ კვირას აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ გაურკვეველი ვადით შეაჩერა ტრადიციული ერთობლივი სამხედრო სწავლებები საქართველოსთან, რომელიც 2024 წლის 25 ივლისიდან 6 აგვისტომდე უნდა ჩატარებულიყო. ამავე დროს, გაურკვეველია, რა ბედი ეწევა მომავალი წლისთვის დაგეგმილ კიდევ ერთ ამერიკულ-ქართულ სამხედრო სწავლებას „მტკიცე სული 2025".**

„ახალის" თანათავმჯდომარისა და დიდი სტრატეგოსის ნიკა გვარამიას განცხადებით, „მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2024"-ის გაურკვეველი დროით გადადება, „ქართული ოცნებისეული" გამოცდილებითაც კი, რეკორდულად საშინელი საკითხია. საქართველოში ომი არ იქნება და თუ ჩვენ ამას ვაცნობიერებთ, თუ ეს დანამდვილებით გვინდა, მაშინ დაცულები უნდა ვიყოთ. მსოფლიოში დაცულობის არანაირი გარანტია არ არსებობს, მითუმეტეს, როცა რუსეთის მეზობელი ხარ, გარდა დასავლური გარანტიებისა. ნატოს, ევროკავშირის გარეშე, ყველაფერი ლაყბობა და ტყუილია. ამიტომ საქართველო (ამაში) მონაწილეობას რომ არ იღებს, ნაციონალური მასშტაბის კატასტროფაა, ამას ღიად და ხაზგასმით ვამბობ".

ნიშანდობლივია, რომ გვარამიამ თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და საქართველოში აშშ-ის ელჩის მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე.



**ამერიკის ელჩთან და სახელმწიფო მდივანთან, მით უფრო, დიდ ნიკასთან და ნიკანორ მელიასთან შეკამათებას როგორ გავბედავ, მაგრამ მეჩვენება, რომ აშშ-ის სამხედრო დეპარტამენტის ეს ნაბიჯი ძალიან ჰგავს პოლიტიკურ შურისძიებას საქართველოს მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებისკენ მისწრაფების გამო. იმედია, ამერიკული მხარე მალე ამას დაინახავს და ჩვენს ქვეყანასთან ისე ითანამშრომლებს, როგორც ეს ღირსებას და თანასწორი პარტნიორობის პრინციპებს შეეფერება.**

* * *

**ჩემი ფიქრით, გასული კვირის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ვიქტორ ორბანის ვიზიტები უკრაინასა და რუსეთში მომრიგებლის როლში. პრეზიდენტ ზელენსკის კატეგორიული უარი რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე მოსალოდნელი იყო, რადგან იგი არ არის გადაწყვეტილების მიმღები მხარე და, რაც მთავარია, ეს არ შედის მის პირად და მისი კლანის ინტერესებში. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს. ომის დამთავრება არ სურთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ევროპული ქვეყნების მმართველ წრეებსაც – ომი დიდი უბედურებაა, ტრაგედიაა, სიკვდილი და ქვეყნის განადგურებაა, მაგრამ ამავე დროს ხომ ომი დიდი ფულია, წარმოუდგენლად დიდი ფული! ომის დამთავრება უნდა მხოლოდ რუსეთს, ოღონდ თავისი პირობებით. ვფიქრობ, ამ პირობებზე დაწვრილებით საუბარი არ ღირს, რადგან ამაზე უკვე მრავალჯერ ითქვა. ისიც ცნობილია, რომ რუსეთი (ანუ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინი) თავის კატეგორიულ მოთხოვნებზე უარის თქმას არ აპირებს. კაცმა რომ თქვას, ვერც იტყვის – ეს მისი პოლიტიკური კარიერის და, დიდი ალბათობით, მისი სიცოცხლის დასასრული იქნება.**

სამაგიეროდ, ეს უსასრულოდ გაჭიანურებული ომი უმძიმეს ტვირთად აწვება არამარტო რუსეთისა და უკრაინის, არამედ თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის ხალხებს. აღარაფერს ვამბობ მის გადაზრდაზე გლობალურ დაპირისპირებაში, რომლის საშიშროებაც ყოველდღიურად იზრდება და, რომელსაც ყველა ხედავს ქართველი რადიკალური ოპოზიციონერების გარდა. ალბათ ვცდები, ისინიც ხედავენ, მაგრამ სისხლიანი ფულის სიყვარულით დაბრმავებულებს ამის დანახვა არ უნდათ.

**ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, მაგრამ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის (უნგრეთის) პრეზიდენტ ვიქტორ ორბანის კეთილშობილური ვიზიტები უკრაინასა და რუსეთში, ამ ეტაპზე მაინც, განწირულია წარუმატებლობისთვის. სამწუხაროდ, ამაზე მეტყველებს დანარჩენი კაცობრიობის დიდი მეგობრის, აშშ-ის ჩვენთვის უკვე მშობელ მამაზეც მეტად მზრუნველი წარმომადგენლის, შარლ მიშელის ღრმად შეშფოთებული განცხადებაც, ვიქტორ ორბანის რუსული ვიზიტები ევროკავშირთან (ანუ აშშ-ის მმართველობასთან!) შეთანხმებული არ ყოფილაო.**

* * *

მინდოდა, ორიოდე სიტყვა მეთქვა გასული კვირის განმავლობაში საქართველოს პარლამენტში მომდინარე გენერალური პროკურორობის მსურველთა მოსმენებზე. თუმცა, ჯერ კარგად უნდა გავარკვიო, ეს პატივცემული გენპროკურორობის მსურველები თვითონ „გაკანდიდატდნენ" თუ რომელიმე ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ერთადერთი, რისი თქმაც ახლა შემიძლია, ბევრი მათგანის უვიცობა-გულუბრყვილობით გულწრფელად გაოცებული ვარ.

დაბოლოს, ნება მიბოძეთ, ჩვენი გაზეთის რედაქციის, მკითხველების სახელით ღრმა მწუხარება გამოვხატო დიდი ქართველი მუსიკოსის ლიანა ისაკაძის გარდაცვალების გამო.



**თეიმურაზ ქორიძე**

საქართველოს რესპუბლიკა

# ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, მოქალაქე

## ვახტანგ ფრუიძე — 90

**მეხსიერება ისეთი ფენომენია, რომელიც საყვარელ ადამიანს დიდხანს არ დაგავიწყებს, ხოლო პიროვნების უკვდავყოფას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მომავალი თაობის აღზრდისთვის.**

**ვინც კარგად იცნობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტს, მის მძლავრ კოლექტივს, ნათელია ის ფაქტი, რომ მას მუდამ ჰყავდა ღირსეული წინამძღოლები, რომელთა ორგანიზატორულმა ნიჭმა და მაღალკვალიფიციურმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ უნივერსიტეტს შორს გაუთქვა სახელი.**

სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება სასიქადულო მამულიშვილი, ცნობილი მეცნიერი, საქართველოს საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ჭეშმარიტი პიროვნება, რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვახტანგ ფრუიძე**, რომელსაც დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. მან მთელი თავისი ცხოვრების შეგნებული ნაწილი განვლო მეცნიერული კვლევების, პედაგოგიური მოღვაწეობის, პრინციპულობისა და წესიერი ცხოვრების სულისკვეთებით.

გავიდა ტკივილიანი 27 წელი, პროფ. **ვახტანგ ფრუიძის** გარდაცვალებიდან. იგი დააკლდა ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს, ქვეყანას, საზოგადოებას. ის ისეთი ადამიანი იყო, ღრმად მოხუცებულიც რომ წასულიყო ამ ქვეყნიდან, მაინც უდროო იქნებოდა მისი გარდაცვალება.

ვახტანგ ფრუიძე დაიბადა 1934 წლის 6 ივლისს ქ. ქუთაისში. იმ პერიოდში (დღესაც) ქალაქში განთქმული იყო კლასიკური გიმნაზია (I საჯარო სკოლა), რომელიც თავისი მოწინავე შეხედულებების მქონე პედაგოგებით გამოირჩეოდა. სწორედ ამ სკოლაში იწყებს სწავლას ბატონი ვახტანგი 1941 წელს, ხოლო მისი ძმა გურამი მოგვიანებით. როცა ძმების ბიოგრაფიას ვეხებით, არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ მათი ბავშვობის მძიმე პერიოდს. მამა ადრე გარდაეცვალათ და დედას მოუწია შვილების აღზრდა ქვეყნისა და საზოგადოების სასარგებლო ადამიანებად. ვახტანგმა – 1952 წელს, ხოლო გურამმა 1955 წელს დაამთავრეს სკოლა ოქროს მედალზე და სწავლა განაგრძეს ქუთაისის სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. თავისი შინაგანი ძალისხმევით, შრომისმოყვარეობით, მიზანსწრაფულობით, ბატონმა ვახტანგმა არა მარტო თვითონ, არამედ უმცროსა ძმას გაიყვანა ცხოვრების დიდ სარბიელზე.

ბატონი გურამი გახდა ცნობილი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიოქიმიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. რაოდენ სამწუხაროა, რომ ძმის გარდაცვალების შემდეგ, ისიც მალე წავიდა ამ ქვეყნიდან.

**ვახტანგ ფრუიძე 1957 წელს, უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთვარებისთანავე მიიწვიეს ინსტიტუტში, ,,პროცესებისა და აპარატების" კათედრაზე სამუშაოდ, როგორც შრომისმოყვარე, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა. მან ქუთაისიდან სოხუმში გადატანილ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში განვლო ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შემოქმედებითი გზა – დაწყებული კათედრის ლაბორანტობიდან მშობლიური ინსტიტუტის რექტორობამდე. 1963-72 წლებში იყო ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1972-77 წლებში – მანქანათმცოდნეობის კათედრის გამგე, 1977 წლიდან 1990 წლამდე – ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო ნაწილში, ხოლო 1990 წლიდან გარდაცვალებამდე – რექტორი.**

ბატონი ვახტანგი 1963 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1967 წელს ენიჭება დოცენტის წოდება. 1990 წელს კი მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტში იცავს სადოქტორო დისერტაციას და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1991 წელს ხდება პროფესორი. ამ მონაპოვრების მიღმა იყო ტიტანური შრომა, კვლევა – ძიება, შედეგები ასახულია 100-ზე მეტ პუბლიკაციებში, მათ შორისაა 8 სახელმძღვანელო და მონოგრაფია, საავტორო უფლებებით დაცულია 10 გამოგონება, რომელთა უმეტესობა დანერგილია წარმოებაში. პროფ. ვ. ფრუიძის სამეცნიერო შრომებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩაის ქიმიის, ბიოქიმიის, ჩაის ფოთლის გადამუშავების და ტექნოლოგიური მოწყობილობების სფეროში. მის მიერ დამუშავებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებები:

მწვანე ჩაის წარმოების სამეცნიერო კონცეფცია ელექტრო-ფიზიკური მეთოდების გამოყენებით;

მწვანე ბაიხასისა და მწვანე ჩაის მიღების ტექნიკური, ტექნოლოგიური უზრუნველყოფა ელექტრო-ფიზიკური მეთოდის გამოყენებით;

შეიქმნა ელექტრო-ფიზიკურ მეთოდზე მომუშავე გამარტივებული საშრობი მანქანა;

დამზადდა და წარმოებაში დაინერგა ინფრაწითელ სხივებზე მომუშავე მწვანე ჩაის საშრობ-საფიქსაციო მანქანა;

დამზადდა და წარმოებაში დაინერგა მაღალ სიხშირულ ველზე მომუშავე მწვანე ჩაის საფიქსაციო მანქანა.

ბატონ ვახტანგს შესანატრი თვისებები ჰქონდა – ადამიანის სიყვარული, ყველა მათგანში სიკეთის მარცვალს ხედავდა, სიტყვის ძალასა და მადლს მთელი არსებით გრძნობდა და განიცდიდა, ამაგს არავის დაუკარგავდა, ხელს უყოყმანოდ წააშველებდა თანამშრომლებს, მეგობრებს, სტუდენტებს. სხვისი სიხარული უხაროდა და ტკივილი სტკიოდა, უღალატო ადამიანი იყო. ყველა საქმეში ზომიერი, თავაზიანი, გახსნილი, უზომოდ მოსიყვარულე მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი. მისი ცხოვრების გზა კარგი მაგალითია, თუ როგორი პასუხისმგებლობით უნდა ემსახურო ქვეყანას, საზოგადოებას. ის იყო პიროვნება, რომელიც ბუნებისგან უხვად იყო დაჯილდოებული დიდსულოვნებით, კეთილშობილებით, სათნოებითა და გულმოწყალებით, ადამიანობის განსაკუთრებული ხიბლით, ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის, პედაგოგის, მეცნიერის, მკვლევარის უბადლო ნიჭითა და ქარიზმით.



ბატონ ვახტანგს ტრადიციული, წმინდა, შეუბღალავი ქართული ოჯახი ჰქონდა, სადაც სიყვარულის, ერთობის, მეგობრობის, მოყვასის უზადო პატივისცემისა და თანადგომის ატმოსფერო იყო შექმნილი. ბედმა ღირსეული თანამეცხედრე არგუნა ბატონ ვახტანგს ქალბატონი ამალიას სახით, რომელიც მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების განსახიერება არის. მათ ოჯახში გაიზარდნენ შვილები – მარინე, ირინე, თეიმურაზი და გიორგი, შვილიშვილები – ავთანდილი, ანა, ვახტანგი და გიორგი, შვილთაშვილები – ნოა და თომა. ოჯახმა დიდი ტკივილი და ტრავმა განიცადა შვილის გიორგი ფრუიძის გარდაცვალების გამო.

**ვახტანგ ფრუიძის გარდაცვალებიდან განვლილმა წლებმა გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი პიროვნება და მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე დააკლდა ოჯახს, ქვეყანას, საზოგადოებას, სამეგობროს. მისი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი თვისებები მკაფიოდ გამოჩნდა აფხაზეთის ტრაგიკულ დღეებში. მას არც ერთი დღით არ მიუტოვებია სამსახური, თანამშრომლები, სტუდენტები. ის ყველაზე ბოლოს წამოვიდა სოხუმიდან, სანამ არ დარწმუნდა, რომ ინსტიტუტის მთელი კოლექტივი სამშვიდობოს იყო გასული.**

რექტორის პროფ. ვახტანგ ფრუიძის პირადი ინიციატივა და დამსახურებაა დროებით ადგილნაცვალი ინსტიტუტის ქუთაისში განთავსება. სწორედ ქვეყნისთვის ისეთ უმძიმეს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურად დაძაბულ პირობებში, მან თავისი ორგანიზატორული ნიჭითა და ძალისხმევით უმოკლეს ვადაში შეძლო, სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ თანამშრომელთა და სტუდენტთა გაერთიანება და ინსტიტუტის სასწავლო პროცესის ასპირანტურისა და სადისერტაციო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს აღდგენა, რომლის თავმჯდომარე თვითონ გახლდათ. შედეგად, ქუთაისში, ქალაქის ისტორიაში პირველად, ჩატარდა დისერტაციის დაცვა.

ბატონი ვახტანგის დაუღალავი შრომისა და ავტორიტეტის დასტურია ის წოდებები და ჯილდოები, რომელიც მას დამსახურებულად შემოქმედებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე ჰქონდა მიღებული. 1992 წელს ის აირჩიეს საქართველოს საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად, 1995 წელს – საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 1996 წელს – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1984 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

**აფხაზეთის ტრაგედიის ბოლო დღეებმა ბატონი ვახტანგის მხრებზე გადაიარა, რამეთუ მას კარგად ესმოდა მოსალოდნელი განსაცდელი, რაც ქართველ ახალგაზრდობას მოელოდა აფხაზეთში. როგორც ჩანს, ამ ტრაგედიის მსხვერპლია ბატონი ვახტანგი, მას ხომ გულმა უმტყუნა 1997 წლის 27 სექტემბერს ტელევიზორთან სოხუმის დაცემის კადრების ყურებისას!**

ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება, მაგრამ როგორ იცხოვრა, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სიკვდილი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ადამიანის ღირსებას. ცხოვრება გრძელდება, იცვლება ყველაფერი, მაგრამ პროფ. ვახტანგ ფრუიძის სახელი სამუდამოდ დარჩება ოჯახის, ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების გულებში.

**აკადემიკოსები:**
**ნ. ქარქაშაძე, გ. კვესიტაძე, რ. კოპალიანი,**
**პროფესორები:**
**შ. კირთაძე, თ ცანავა, რ. ჭაბუკიანი,**
**ნ. ებანოიძე, მ. თაბაგარი, ქ. კინწურაშვილი,**
**მ. ფრუიძე, ასოც. პროფ. გ. ბენდელიანი.**



# მედიცინის ისტორიის მუზეუმს გრიგოლ მუხაძის სამედიცინო არქივი გადაეცა

**ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში იმყოფებოდა. მიხეილ სარჯველაძემ მუზეუმი დაათვალიერა და იქ დაცულ ექსპონატებს გაეცნო.**

ჯანდაცვის სამინისტრომ მუზეუმს ქართული ქირურგიის ფუძემდებლის და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სამედიცინო არქივი გადასცა, რომელიც უწყებამ კულტურის სამინისტროს დახმარებით მოიძია.

მიხეილ სარჯველაძემ ქართული ქირურგიის განვითარებაში აკადემიკოსის დამსახურებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ გრიგოლ მუხაძემ საქართველოში ქირურგიის ეპოქა შექმნა. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ აკადემიკოსის სამედიცინო და სამეცნიერო მოღვაწეობა ქართული მედიცინისთვის მრავალ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას უკავშირდება, შესაბამისად, მისი ხელნაწერები, სამედიცინო სახის საბუთები და ბროშურები უფრო ფართო აუდიტორიისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

გრიგოლ მუხაძე იყო ქართველი ქირურგი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერული და პრაქტიკული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში; ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.

მან დააარსა და სათავეში ჩაუდგა სისხლის გადასხმის ცენტრალურ სადგურს, რომელიც მისივე ინიციატივით გადაკეთდა სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად; შექმნა ქირურგიის უძლიერესი სკოლა, სადაც უამრავი ქირურგი გამოზარდა.

# ადამიანი მართლაც თავისუფლებით ყოფილა დაწყევლილი

## კაცობრიობა არჩევანის წინაშე



**დღევანდელი მსოფლიო ურთულესი დაპირისპირების პირობებში ცხოვრობს, ზოგან ეს დაპირისპირება ფარულია, ზოგან აშკარა, ზოგან კი დაუნდობელ საომარ მოქმედებებში გამოიხატება, სადაც ცეცხლითა და მახვილით ებრძვიან ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებული მხარეები.**

როგორც ჩვენმა პატრიარქმა გაგვაფრთხილა ამ სამიოდე წლის წინ, აპოკალიფსი კარზეა მომდგარი!

პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ისტორიკოსები სხვადასხვანაირად ხსნიან ამ მდგომარეობას. ზოგის აზრით, ეკონომიკური ინტერესებია ამ დაპირისპირების მიზეზი, ზოგის შეხედულებით განსხვავებული პოლიტიკური იდეოლოგიები (დემოკრატიული, მონარქისტული, დიქტატორული, ნეომალთუსიანები) ამის მიზეზად მსოფლიოში დემოგრაფიულ ბუმს ასახელებენ, გონიერი ფილოსოფოსები მიიჩნევენ, რომ ეს არის ცივილიზაციათა შეჯახება. ცალ-ცალკე შესაძლებელია არსებული ვითარება ამ შეხედულებათა მეშვეობითაც აიხსნას, მაგრამ გლობალურად და ყოვლისმომცველი მიზეზის ძიებაში ყველა ეს მიდგომა ფრიად ნაკლოვანია.

**ამ პრობლემის გარკვევა სრულიად შესაძლებელია რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი არა ორი ქვეყანა, არამედ თითქმის (?) მთელი ევროპა, აშშ და აზიისა და ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფოებიც.**

ამერიკის ადმინისტრაცია და ევროპის ქვეყნების ლიდერები ამ დაპირისპირებას დემოკრატიისათვის უკრაინის ბრძოლას უწოდებდნენ და უკრაინისთვის თავიანთ დახმარებას დემოკრატიისადმი ,,უსაზღვრო თავდადებით“ ხსნიან. რუსები მიიჩნევენ, რომ დასავლეთის მიზანია ნატოს გაფართოება, რუსეთის საზღვარებთან ნატოს რაკეტების განლაგება და ყოფილი ვეშაპი კოლონიზატორი ქვეყნების მიერ უკრაინის ბუნებრივი რესურსების ხელში ჩაგდება. ამ მიზნით აქცია დასავლეთმა ეთნიკური რუსები, ანუ უკრაინელები ანტირუსებად.

სხვა ევროპელი თუ ამერიკელი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ევროპული კულტურა და ღირებულებები, შეიძლება, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას შეეწიროს და დროზე უნდა დაიმალოს ეს უზარმაზარი, მრავალეროვანი სახელმწიფო. არადა, რუსეთი არასოდეს შეჭრილა ევროპაში, ევროპული ქვეყნები კი არაერთგზის დასხმიან თავს რუსეთს და რუსეთი იძულებული გამხდარა, თავდამსხმელთა არმიები მათსავე დედაქალაქებში გაენადგურებინა.

არც რელიგიური ომებია ეს, როგორც ზოგიერთები აცხადებენ. არც კულტურათა თუ ცივილიზაციათა ომები! რუსეთი, განა, ევროპა არ არის, რუსული კულტურა ანტიევროპული კულტურაა, ვითომ?!

ის, რაც მე ზემოთ ვთქვი, იმ დასკვნების გაკეთების საბუთს იძლევა, რაც უფრო ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ არსებით მიზეზს მაინც ვერ ხსნის.

ახლა რაზეც ვილაპარაკებ და დღევანდელი ძირითადი კონფლიქტების რა მიზეზებსაც დავასახელებ, ამას სერიოზულად მხოლოდ ის მიიღებს, ვისაც ეჭვი ეპარება იმაში, რომ პოზიტიური მეცნიერებები ყოველგვარ მოვლენებს ხსნიან, რაც ჩვენ თვალწინ თუ მის მიღმა ხდება, ამას მხოლოდ ღვთის მორწმუნე და ეზოთერულ მეცნიერებასთან წილნაყარი ადამიანი მიიღებს.

### ევროპელებისა და აშშ-კანადის მოსახლეობის ე.წ. ,,განვითარებული“ ნაწილისათვის ღმერთი კარგა ხანია, გარდაიცვალა, ნიცშეს ფილოსოფია ირწმუნეს და იმიტომ. ამას მიხვდა ოსვალდ შპენგლერი და... დაწერა ერთობ გახმაურებული წიგნი ,,ევროპის დაისი“ (,,ევროპის მზის ჩასვენება“). რა იგულისხმა შპენგლერმა ,,მზის ჩასვენებაში“? რა და, განათლებისა და კულტურის დეგრადაცია! განათლებას შეცვლის სრული უვიცობა, ანუ გამოთაყვანება, კულტურას კი — ანტიკულტურა, რაც ზნეობრივ სიღატაკეს გამოიწვევსო.

შპენგლერის აქ ნახსენები წიგნი 1920 წელს გამოიცა და ბუნებრივია, მასში მოცემული დასკვნები იმავე, ან მომდევნო წელს როდი განხორციელდებოდა, ასი წლის შემდეგ, ანუ დღეს სრულიად აშკარაა ის, რაც იმ ცხონებულმა შპენგლერმა იწინასწარმეტყველა. სხვათა შორის, არანაკლებ აპოკალიფსი იწინასწარმეტყველა ჟან პოლ სარტმა, ,,ადამიანი თავისუფლებით არის დაწყევლილიო“.

დეტალებს რომ არ გამოვეკიდო, სქემატურად, მოკლედ, მაგრამ ვეცდები, მარტივად ავხსნა, რაც დღეს ხდება.

1. დღეს გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს ბოროტებასა და სიკეთეს შორის, ამ ბრძოლაში (რაც კაცობრიობას მუდამ თან სდევდა!) დასაწყისში ბოროტებას ჰქონდა უპირატესობა, რადგან ბოროტება ეშმაკის მიმდევართა თვისებაა, მისი ამოცანა არა შემოქმედება, არამედ ნგრევაა, ნგრევა კი ადვილია და ნგრევით ,,გამარჯვების“ მიღწევა იოლია. ამიტომაა, რომ სატანას ადვილად შეუძლია, აცდუნოს ადამიანი, თუ დაგპირდება, რომ დაანგრიე არსებული და გაგაბედნიერებო.

ამიტომაა, რომ რევოლუციები სწორედ სატანისტური მოწოდებების გამო ხდებოდა მუდამ. მერე რას იგებდნენ რევოლუციის შედეგად ადამიანები? ძირითადად სიკვდილს, განადგურებას, ზნეობრივ და გონებრივ დეგრადაციას!

**2. ეს თუ ასეა და ასე მარტივია სატანის ამოცანისა და მიზნის ახსნა, რატომ ვერ ხვდებიან ადამიანები ამას და მასობრივად მისდევენ სატანისტურ ლოზუნგებს?**

**ამას ორი მიზეზი აქვს: ერთი ძირითადი, მეორე კი ძირითადი მიზეზის შედეგი, რომელიც გარკვეული ქცევის მიზეზად იქცევა.**

პირველი მიზეზი ის არის, რომ, როდესაც კაცი უფალს უარყოფს და ღვთის წინააღმდეგ ბრძოლით ღმერთს განასახიერებს, იგი ისჯება. უფლისთვის ყველა ადამიანი ღვთისშვილია, ამიტომ ღმერთი თავის შვილს სიცოცხლეს ვერ წაართმევს. იგი განდგომილ შვილს ართმევს იმას, რითაც იგი ცხოველისგან განსხვავდება. ეს არის შემეცნების უნარი! ამ უნარის გარეშე იგი აღარაფრით განსხვავდება ცხოველისაგან და მასზე უარესია. უარესია იმიტომ, რომ ცხოველის ცხოვრების წესი და შინაარსი წინასწარ არის გენეტიკურად განსაზღვრული და ჯიშის თავისებურებებით განპირობებული, ღვთით ბოძებული ნიჭის წართმევის შემდეგ ადამიანი ორიენტაციადაკარგულია და დასაღუპავად არის განწირული, ანუ იგი თვითლიკვიდაციისაკენ მიდის .

აქედან გამომდინარე, ადამიანი კარგავს ავისა და კარგის გარჩევის უნარს და ნებისმიერი დილემის წინაშე არჩევანს აკეთებს ავზე და ზურგს აქცევს კარგს!

ამიტომ ირჩევენ ღმერთგამწყრალნი სატანისტურ გზებსა და მიჰყვებიან სატანისტურ ლოზუნგებს!

**3. ყველაზე დემაგოგიური სატანისტური ლოზუნგია ,,თავისუფლება“.**

**ამ ლოზუნგით ხორციელდებოდა ყველა რევოლუცია დედამიწაზე, ეს ლოზუნგი აღაფრთოვანებდა არა მარტო ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მასებსაც. სატანა ღვთის წინააღმდეგ ადამიანების ამბოხსაც ამ ლოზუნგით წარმართავდა.**

რატომ არის ,,თავისუფლება“ ყველაზე დემაგოგიური ლოზუნგი? იმიტომ, რომ მასში კონკრეტულ შინაარსს არავინ დებს, თავისუფლება აბსტრაქტულ მოვლენად აქვთ წარმოდგენილი, ანუ ყოველგვარი შემზღუდავი, დამაბრკოლებელი რამ, რაც სუბიექტის სურვილის შესრულებას უდგას წინ, მოშლილია. ასეთი დამაბრკოლებელი ძალაა ღმერთი. ღმერთი თუ უარყავი, მაშინ ყველაფერი ნებადართულია (დოსტოევსკი). ამ მთავარი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ წვრილ-წვრილი დაბრკოლებების უგულებელყოფა (არაფრად მიიჩნევა), არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამრიგად, პიროვნება თავისუფალია სირცხვილის გრძნობისგან. ზნეობრივი შეზღუდვები ღმერთის უარყოფასთან ერთად ქრება.

### ყველაფრისგან თავისუფლება ადამიანის თანამდევი წყევლაა. ჟან-პოლ სარტრმა ადამიანს ,,თავისუფლებით დაწყევლილი“ ამიტომ უწოდა!

* * *

**4. ახლა** ვნახოთ, როგორ აისახა დღევანდელობაზე ის ,,ეზოთერიული“ ვარაუდები, რაც ზემოთ აღვნიშნე.

ყველამ იცით, რა იყო ცივილიზებულ სამყაროში მე-19 საუკუნის გერმანია: საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ტექნიკის, ფილოსოფიის, ხელოვნების, ლიტერატურის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის დარგებში გერმანია ლიდერი იყო მაშინდელ მსოფლიოში! საფრანგეთი? — პარიზი მსოფლიო კულტურის ცენტრად იყო მიჩნეული! (დეტალური დასაბუთებისგან თავს შევიკავებ, რადგან ყველა ჭკუათამყოფელმა იცის ეს!) , საერთოდ ევროპა კი განათლების უპირველეს კერად ითვლებოდა!

**ახლა?**

5) ,,უგანათლებულესმა გერმანელმა“ — საგარეო საქმეთა მინისტრმა მეექვსეკლასელის დონეზე არ იცის, რამდენი გრადუსია წრეხაზის სიგრძე, ხოლო მის სოფლის მეურნეობის მინისტრს წარმოადგენა არა აქვს, რამდენი კვადრატული მეტრია ჰექტარში.

ამას მე არ ვიგონებ: მთელი მსოფლიო პრესა მოიარა ამ უვიცობის მაგალითებმა.

ახლა ისიც ვთქვათ, რომ ბისმარკისა და თვითონ ნაცისტი ჯალათის ჰიტლერის ქვეყანაში პრეზიდენტი ჰომოსექსუალია, რომელსაც ცოლად თუ ქმრად ჰყავს თავისივე სქესის არსება (ერთად გადაღებული ფოტო მაქვს ნანახი და გარწმუნებთ, ორივე ლამაზი კაცია!

რაც შეეხება კულტურით ნაქებ საფრანგეთს, ახლა საფრანგეთის ფეშენებელურ სასტუმროებში ბაღლინჯოები ბატონობენ და ნორმალური ადამიანები ერიდებიან იქ ღამის გათევას, ხოლო პოლიტიკაში ... დე გოლის, პომპიდუს, ჟაკ შირაკის, მიტერანის სავარძელში დღეს ზის მაკრონი, რომელსაც 27 წლით უფროსი ცოლი ჰყავს (გერონტოფილია ალბათ) და მისი პრემიერ-მინისტრი გაცხადებული ჰომოსექსუალია, ასეთივეა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც (ჭორებს არ გავიხსენებ!)

აშშ-ისა და მისი სატელიტების ლიდერები რომ საღი აზრისგან უკვე მთლად დაცლილები არიან, ამაზე ყველაზე კომპეტენტურად მათივე თანამოქალაქე პოლიტიკოსები ლაპარაკობენ!

აშშ-ის სატელიტი (როგორც ამბობენ, აშშ-ის ებრაელთა ოფისი) ისრაელი ისეთ არაადამიანურ მოქმედებას სჩადის ღაზის სექტორში, რომ ფაშისტების მიერ განხორციელებული ებრაელთა გენოციდი (ჰოლოკოსტი!) უწყინარ თამაშად მოგეჩვენებათ, რითი დამთავრდა გერმანელი ნაცისტების — „დოიჩლანდ, იუბერალეს!“ ბღავილი, იცით! უღვთო ქარავანი, რაც უნდა უმღერო მას, თავისსავე ფარეხში — რაიხსტაგთან გაწყდება!

* * *

**მოდით,** გვერდზე გადავდოთ ჩვენი ,,ცნობილი“ ეროვნული მიკერძოებულობა და შეხედეთ ქართულ პოლიტიკურ ოპოზიციას — ნაცებს, გირჩებს (ორივე გირჩს), პარტია ალეკო ელისაშვილს, დაღმამშენებელსა თუ რაღაც ამის მსგავსს, ევროპულ საქართველოს (ვაი, ამათ პატრონს), ,,ლელოს“ (ლელო არა, წყალბურთი!) გახარიასა და გვარამიას რაღაც უაზრო ჯგუფებს და მიხვდებით, რომ ამათ არა მარტო სამშობლო არა აქვთ, არამედ არც იციან, რას ნიშნავს სამშობლო, საიდან იწყება და როგორ გრძელდება წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

რატომ იცით? **სამ ათეულ წელზე მეტია, ქართული საგანმანათლებლო სისტემა ქართველებს კი არ ზრდის, მსოფლიო მოქალაქეების აღზრდა განუზრახავს! სატანისტური მიზანია ეს! ადამიანის სოციალური განვითარება მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბებით**

**ქართული ხასიათი**

იწყება; ბავშვი თავს მიაკუთვნებს ჯერ დედას (ან იმას, ვინც მას ზრდის), მერე და-ძმებსა და სხვა შინაურებს, მერე მეზობლებს, უბანს, სოფელს ან ქალაქს და ბოლოს თავის ქვეყანას. თავს მიაკუთვნებს და მიიკუთვნებს ყოველივე ამას. ასე იზრდება პატრიოტი და იგი სიმპათიას და პატივისცემას გრძნობს სხვა ქვეყნის პატრიოტების მიმართაც. მსოფლიო მოქალაქის ნეოლიბერალური სახე სრული უზნეობა და ეროვნული ნიჰილიზმია, რომელიც უღმერთოებს ემართებათ მხოლოდ. არაფრის სიყვარული არ აქვთ მათ, მხოლოდ მამონა უყვართ და ემონებიან მას, კონკრეტულად მის მიწიერ გამოხატულებას – ფულს.

ნახეთ, ამ ღმერთგამწყრალ ოპოზიციას და მის სატელიტებს საღი აზრი და გონიერება თუ ეტყობათ რაიმეში, სირცხვილის გრძნობაზე, ღირსებაზე, თავმოყვარეობასა და მოყვასისადმი თანაგანცდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია!

**უზრდელი, უკულტურო, უხეში, დებოშიორი, ხულიგანი, მოჩხუბარი, ყოვლისმკადრებელი კაცის მეტი რა გვინახავს ახლაც და წარსულშიც, მაგრამ ქალი? ქალი ყოველთვის იყო კდემამოსილების განსახიერება და ამიტომ იმსახურებდა საყოველთაო პატივისცემას ჩვენში. სასიკვდილოდ შერკინებულ კაცებს ქალის მანდილი აშოშმინებდა მხოლოდ. უღმრთოობის ცოდვამ ყველა გადაიყვანა ჭკუიდან და მათ შორის ქალებიც.**

მთელი ბავშვობა, არდადეგები მთაში მაქვს გატარებული, ჩემს დედულეთში. უღრანი ტყეებით გარშემორტყმულ სოფელში ნადირის გამოჩენა იშვიათი არ იყო. ისიც მომხდარა, რომ ბოსელთან დაბმული საქონელი დაუგლეჯია მგელს საღამოხანს, ღამით კი დათვებს შუაგულ სოფელში ყანა გაუნადგურებიათ. ჩემი სვანი ბაბუაც და ბიძებიც მონადირეები იყვნენ და ნადირის შიში არ მქონია, ალქაჯებისა მეშინოდა მხოლოდ. ალქაჯები ხევში, წყლისპირას არიან ხოლმეო, ღამით, და მარტო არსად გახვიდეო, მეუბნებოდნენ. ამიტომ წყაროზეც ვერ წავიდოდი შებინდებულზე, ბიძაშვილებს თუ არ ვიახლებდი თან. მერე და მერე, პიონერობამ და კომკავშირელობამ ალქაჯობის შიში დამავიწყა, მითიურ ლეგენდებად ჩავთვალე და ამიტომ ახლაღა მივხვდი, რომ ეს ლეგენდა არ ყოფილა. ხევში წყლისპირას კი არა, ალქაჯები აგერ, საკანონმდებლო ორგანოში ყოფილან თურმე.

ღმერთის უარმყოფელი და ღვთისმგმობი ადამიანი, რომელიც შემეცნების უნარდაკარგულია, ყველაფრად შეიძლება, იქცეს: ეშმაკად, მაიმუნად, ქვეწარმავლად, მგლად და ცხადია, ალქაჯადაც.

ჩვენს პარლამენტში, ოპოზიციონერი აქტივისტი ქალები, ხმას რომ არ იღებდნენ, საამონი არიან საცქერლად, მაგრამ სატანა არ ასვენებთ: მიკროფონს ჩაიგდებენ ხელში და კივიან, კაცებსაც ემუქრებიან და ქალებსაც, ბავშვებსაც და მოხუცებსაც, მათ შემხედვარეს, წამსვე დაგავიწყდება, რომ ხმის ამოღებამდე, ისინიც ლამაზი ქალები იყვნენ და ქალის ჯიში და ჯილაგი შეგძულდება, ერთი სურვილიღა გრჩება, უკანალი აუჭრელო სახრით ამ ღმერთგამწყრალ სატანისტებს.ერთი წიკვინა ქალი იყო იმ ჩემს დედულეთში, მისი წიკვინის გაგონებაზე ბაბუაჩემმა მითხრა: ბაბუ, დედალი რომ იყივლებს, ის იმავე საღამოს უნდა დაიკლასო, რადგან დედლის ყივილი ცუდის ნიშანიაო. ეს იგავურად ნათქვამი მაშინვე გავიგე, მაგრამ არც მყივანა დედლის დაკვლა მიცდია ოდესმე და არც აშარი ქალების დასჯა, მაგრამ ამ ღმერთგამწყრალი, ალქაჯი ,,პოლიტიკოსების“ წივილ-კივილს უბედურება რომ მოაქვს ქვეყნისთვის, ეს აშკარაა! ცამდე მართალი ყოფილა ბაბუაჩემი იასონ გულბანი!

**აი, ამ არჩევანის წინაშე დგას დღევანდელი მსოფლიო, ან ღმერთთან, ან სატანასთან, ან ანგელოზებთან, ან ალქაჯებთან!**

**აირჩიეთ, სად გსურთ ყოფნა! არჩევანის უფლება ღმერთმა მოგანიჭათ. შედეგებზე თქვენ თვითონ აგებთ პასუხს.**



**ზურაბ ცუცქირიძე**
**ტელ: 555 56 75 37**

# წინ საიუბილეო კონცერტებია...



**თანამედროვე ქართული ესტრადის უბერებელი ვარსკვლავი, როკ-ნ-როლის „ქართველ მეფედ“ აღიარებული, უამრავი მსოფლიო ჰიტის უბადლო შემსრულებელი ენრიკო ჯანელიძე, წლებია, ჩვენი რედაქციის დიდი მეგობარი გახლავთ. მისი კარიერის აღმასვლას ყველანი მუდამ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს.**

**ბოლო ხანს მომღერლის ცხოვრებაში არაერთი საგულისხმო ამბავი მოხდა, რომელთა შესახებაც ამ დღეებში გულწრფელად ვისაუბრეთ:**

**– იქნებ სულ ახალი ამბებით დაგვეწყო, რა სიახლეები მოგიტანათ ბოლო პერიოდმა?**

– ჯერ მინდა, მოკლედ ჩემი საკონცერტო მონაგარის შესახებ გითხრათ. ცოტა ხნის წინათ, კერძოდ, მაისის მიწურულს – 28, 29 და 30 მაისს იმერეთში – წყალტუბოში, ბაღდათსა და ქუთაისში – კულტურის სამინისტროს ეგიდით სამი სოლო კონცერტი გავმართე. საქმე ის გახლავთ, რომ წლეულს სამინისტროს კონკურსი – „ესტრადა და ფოლკლორი“ ჩატარდა, რომელშიც, სხვებთან ერთად, თქვენ მონა-მორჩილსაც წარმატება ხვდა. წარმატებული იმერული სოლო გამოსვლების შემდგომ კი, სამინისტროს გადაწყვეტილებით, ჩემი საიუბილეო კონცერტები გაიმართება საქართველოს რამდენიმე მხარეში, თუმცა კი კონკრეტული მისამართები და თარიღები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**– რამდენადაც ვიცით, წლევანდელი გაზაფხული თქვენთვის არა მხოლოდ იმერული გასტროლით იყო გამორჩეული...**

– ჩემდა სასიხარულოდ, ეს მართლაც ასეა: აპრილში, ცნობილ საოპერო და საესტრადო, ასევე ფოლკლორის შესანიშნავ მომღერლებთან **თეიმურაზ გუგუშვილთან** და **დავით აბესაძესთან** ერთად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის სახელობის პრემია, საქართველოს მწერალთა კავშირმა კი „კულტურის ამაგდარისა და დესპანის წოდებები მომანიჭა, რითაც დიდად ვამაყობ.




**– ვიცით, რომ თქვენი სასცენო თუ საზოგადოებრივი საქმიანობის შეფასება ამით არ შემოიფარგლება, თუმცა კი ამ მოკლე ინტერვიუში მათზე ლაპარაკისგან თავს იკავებთ. ამასთან, ქართველი მსმენელისთვის და ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაც კარგადაა ცნობილი, რომ თქვენ არაერთი შესანიშნავი სიმღერის არა მხოლოდ შემსრულებელი, არამედ მუსიკის ავტორიც ბრძანდებით. რა სიახლეებია ამ მხრივ თქვენს შემოქმედებაში?**

– ბოლო დროის სიმღერებიდან მინდა გამოვყო სიმღერები სამაჩაბლოსა და აფხაზეთზე, ორივე მათგანის ტექსტის ავტორია არაჩვეულებრივი აფხაზი ემიგრანტი ქალიშვილი **მადონა კალანდია.** მათი პრემიერები ბოლო დროს საქართველოს რამდენიმე ტელეკომპანიის ეთერში გავიდა.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ქართულ ტელეარხებთან მეტად კარგი და დიდი ხნის ურთიერთობა მაქვს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ უკვე საეთეროდ მზადაა დიდი, ერთსაათიანი გადაცემა „TV ქართულში“, სადაც ბატონ **თემურ მაშიაშვილთან** ერთად ვისაუბრებთ რამდენიმე საინტერესო თემაზე.

**– გისურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს!**

– დიდი მადლობა.

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

# „ფიროსმანი“ – კრაკოვის თეატრის სცენაზე



**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით პოლონეთში, ქალაქ კრაკოვის „გროტესკას თეატრში“, მოხეტიალე მთვარის თეატრმა წარმოადგინა ნიკო ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების მიხედვით დადგმული თოჯინური სპექტაკლი „ფიროსმანი“.**

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით სპექტაკლი კრაკოვში მიმდინარე ქართული კულტურისა და ისტორიისადმი მიძღვნილი უპრეცედენტოდ მასშტაბური გამოფენის – **„ოქროს საწმისი – საქართველოს ხელოვნება“** – ფარგლებში გაიმართა.

გამოფენა კრაკოვის ეროვნულ მუზეუმში 18 აპრილს გაიხსნა, რომელიც ევროპელ დამთვალიერებელს საქართველოს მდიდარ კულტურას, ქართული ხელოვნების შედევრებს, ყოფის ამსახველ და საბრძოლო ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშებს აცნობს. გამოფენა 2024 წლის 15 სექტემბრამდე გაგრძელდება.

კერძო თეატრმა ამ სპექტაკლით ევროპელ მაყურებელს გენიალური ქართველი მხატვრის ცხოვრება და შემოქმედება და ქართული კულტურული ღირებულებები გააცნო.

„ფიროსმანი“ კულტურის სამინისტროს კონკურსის – „პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა სადადგმო ან სხვა ხარჯით“ – ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტია.

# ,,მთაწმინდისა“ და ,,გენის“ ერთობლივი კონცერტი – ბათუმში

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ქალაქ ბათუმის მერიის მხარდაჭერით ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების – „მთაწმინდისა“ და „გენის“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი დაესწრნენ.**

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია და ცნობილი მსახიობი ზაზა პაპუაშვილი.

„ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ანსამბლებმა „მთაწმინდამ“ და „გენმა“ ცოცხალი მუსიკალური თანხლების ფონზე ქორეოგრაფიული სპექტაკლი წარმოადგინეს, რომელიც ეხებოდა საქართველოს ისტორიასა და კულტურას. სპექტაკლში 300-მდე ბავშვი მონაწილეობდა.



წარმოდგენისას გამოყენებული იყო მუსიკა კინოფილმიდან „ფესვები“ (კომპოზიტორი ალექსანდრე რაქვიაშვილი), ასევე, მუსიკალური კომპოზიციები „აფრინდები და ფრი“ (მუსიკის ავტორი ზვიად ბოლქვაძე, ტექსტის ავტორი მორის ფოცხიშვილი) და „აჭარული მალადა“ (მუსიკის ავტორი გიორგი მოისწრაფიშვილი).



# რუსეთმა უფროსი ძმის როლი ხიშტით მოიპოვა, ამერიკამ კი — მწვანე დოლარით!

**„ჩვენ პარტნიორისა და მეგობრის როლში გვინდოდა გვენახა ამერიკა. ჩვენი ასეთი სურვილი მთლად რეალისტური არ იყო. ამხელა ქვეყანა, ასეთი რესურსებითა და მცხოვრებთა რაოდენობით, ჩვენ რომ გაგვტოლებოდა, ასეთი რამ არ ხდება სამყაროში. მეორე მხრივ, ამერიკა კარგავს წამყვანის პოზიციას. ამის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მსოფლიოს ლიდერ ქვეყანას პრეზიდენტობის ორი ალტერნატივა ჰყავს — 82 წლის ბაიდენი და 78 წლის ტრამპი.**

**ბაიდენი დარბაზში ესალმება ადამიანებს, რომლებიც იქ არ არიან. ბაიდენი აშკარად ვერ არის სასურველ ფორმაში, თავისი სხეულის მართვაც კი უჭირს, არათუ ქვეყნის მართვა. ასეთ დროს ჩვენ წაგვილეს ყურები ამერიკელებმა, არაფორმალური მმართველობა გაქვთო. ეს მაშინ, როცა ვინ მართავს დღეს ამერიკას, გაუგებარია“, — აცხადებს ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე.**

**— ამერიკა საკუთარ ეროვნულ დღესასწაულს – 4 ივლისს განსაკუთრებულად აღნიშნავს, როგორც დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღს. გამორჩეული პომპეზურობით ტრამპს უყვარდა ამ თარიღის აღნიშვნა და სამხედრო თვითმფრინავების გადაფრენა. თავის დროზე, როდესაც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა თომას ჯეფერსონმა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია შეადგინა, იქ საუბარი იყო კოლონიური ჩაგვრის მოსპობაზე. ამერიკელებმა კოლონიური ჩაგვრა საკუთარ ქვეყანაში აღმოფხრეს, მაგრამ თავად ამერიკას, როგორც ზესახელმწიფოს, როგორ ესმის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობა?**

— ინგლისისგან მოპოვებული დამოუკიდებლობით ამერიკა განსაკუთრებულად ამაყობს. ანალოგიურად, ამერიკას მიაჩნია, რომ სხვა ქვეყნების გავლენა ნულამდე უნდა იყოს დაყვანილი, მაგრამ ამერიკის დამოკიდებულება ადამიანურ ურთიერთობას რომ შევადაროთ, ყოველთვის შეინიშნება, რომ მშობელი, მაგალითად, მამა შვილს დამოუკიდებლად ზრდის და უნდა, რომ მისი შვილი დამოუკიდებელი იყოს, ოღონდ რეალურად უნდა კი, რომ მისგან დამოუკიდებელი იყოს ეს შვილი, თუ არა?

**— ეს მართლაც პრობლემურია, განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც ქართველ მშობელს თავის თავზე გამობმული ჰყავს შვილი.**

— დიახ და ეს ეხება უფრო დედას, ვიდრე მამას. საერთოდ, შვილების გამობმა მარტო საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი, ასეთი რამ ბევრგან ხდება და დედები არიან წამყვანები ამ საქმეში. ძალიან თვალსაჩინოა დედაზე დამოკიდებულება მუსლიმანურ ქვეყნებში. ის, რომ დედებს შვილები გამობმული ჰყავთ, ცუდი არ არის და ეს გარკვეულ ასაკში დადებით როლსაც ასრულებს. ამდენად, ამერიკასაც შეუძლია თქვას, რომ გარკვეულ პერიოდში ჩემზე დამოკიდებული თუ იქნებით, კარგი იქნებაო. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც დაინგრა საბჭოთა კავშირი, ამერიკას ჰქონდა მსოფლიოს მამის როლი და ბევრი ქვეყანა თანახმა იყო, ამერიკაზე დამოკიდებული ყოფილიყო. ოღონდ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირია შეფასება, რომ მსოფლიო ლიდერობის ტვირთი ამერიკამ ვერ ასწია, ვერ უპასუხა ამ ამოცანას და ნელ-ნელა კარგავს წამყვან პოზიციას. ამის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მსოფლიოს ლიდერ ამხელა ქვეყანას პრეზიდენტობის ორი ალტერნატივა ჰყავს – 82 წლის ბაიდენი და 78 წლის ტრამპი. ბაიდენი დარბაზში ესალმება ადამიანებს, რომლებიც იქ არ არიან, ტრამპი ჯერჯერობით ასე არ არის, მაგრამ ტრამპს თავისი არაადეკვატური მოქმედებები ახასიათებს. ეს მსოფლიოს ლიდერი ქვეყანა ბევრ რამეში უკვე ვეღარ ლიდერობს და მთელ მსოფლიოს აინტერესებს, მათ შორის, თავად ამერიკელებსაც, რისთვის იბრძვის ამერიკა უკრაინაში და როდემდე იბრძოლებს?! ბაიდენს გამოცხადებული აქვს, რუსეთს არ დავანგრევთო, სჭირდებათ რუსეთი, რომ ჩინეთმა არ დაიკავოს ეს სივრცე, მაგრამ მაშინ რატომ აგრძელებენ ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ?! ეს არალოგიკური ნაბიჯებია. ეს ისეთივე გაუგებრობაა, როგორც ორი ხანშიშესული ადამიანის პირველ პირად დანიშვნა. ამავე დროს, ბაიდენი აშკარად ვერ არის სასურველ ფორმაში, თავისი სხეულის მართვაც კი უჭირს, არათუ ქვეყნის მართვა. ასეთ დროს ჩვენ წაგვიღეს ყურები ამერიკელებმა, არაფორმალური მმართველობა გაქვთო. ეს მაშინ, როცა ვინც მართავს ამერიკას ამ მომენტში, გაუგებარია.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ამერიკა ცდილობს, მასზე დამოკიდებულ ქვეყნებს მამის როლში მოევლინოს. ამდენი ხნის განმავლობაში საქართველო შეჩვეული იყო „უფროსი ძმის“ ყოლას რუსეთის სახით. შევარდნაძის ბოლო პერიოდიან მოყოლებული, ორი უფროსი ძმა გვყავდა - ამერიკა და რუსეთი, მაგრამ ნელ-ნელა გავთავისუფლდით რუსეთისგან. დღესდღეობით რას წარმოადგენს ჩვენთვის ამერიკა, ვინ არის ჩვენთვის — მენტორი, უფროსი ძმა, მშობელი, მეურვე... რა ფუნქციის აღებას ცდილობს ამერიკა საქართველოსთან მიმართებით?**

— დამოკიდებულება აშკარად სხვადასხვანაირია. მართალია, ამერიკელი არ იყო საქართველოში ჩამოსული ბორელი, რომელმაც გვითხრა, ჩვენ პედაგოგები ვართ და თქვენ სტუდენტებიო, მაგრამ დაახლოებით ეს იგივეა, მე მამა ვარ და ვიცი, რა არის კარგი და ცუდი შვილისთვის და შვილმა უნდა დამიჯეროს. ასეთი პრეტენზია ამერიკას კიდევ უფრო მეტი აქვს, რადგან ბორელი ევროკავშირს წარმოადგენს და ევროკავშირს საერთოდ ამერიკა მართავს. ამერიკელებისთვის მამის როლი, ჭკუის დამრიგებლის როლი, უფროსი ძმის როლი ბუნებრივი და გასაგებია, ჩვენ პარტნიორის და მეგობრის როლში გვინდოდა გვენახა ამერიკა. ჩვენი ასეთი სურვილი მთლად რეალისტური არ არის. ამხელა ქვეყანა, ასეთი რესურსებითა და ადამიანთა რიცხვის მქონე, შენ რომ გაგიტოლდეს, ასეთი რამ არ ხდება სამყაროში. თქვენ რომ გაიხსენეთ რუსეთი, ისიც ვთქვათ, რომ რუსეთმა ის უფროსი ძმის როლი ხიშტით მოიპოვა, ამერიკა კი უფროსი ძმის როლში შედის მწვანედ გაფორმებული გზით.

**— დოლარს გულისხმობთ?**

— დიახ, ასე რომ, გზა არის განსხვავებული, თუმცა მიზანი დაახლოებით იგივეა დღეს მთელ მსოფლიოში, რაც შეიძლება, მეტი გავლენის სივრცის მოპოვება. ამას ცდილობს ამერიკაც, რუსეთიც, ამიტომაც შევარდა უკრაინაში რუსეთი, ამას ცდილობს ჩინეთიც, ეს არის დიდი ქვეყნების ამოცანა — უკვე არსებული გავლენის სფეროების შენარჩუნება და გაფართოება. ეს ამოცანა ჩვენ ნაკლებად გვეხება, მაგრამ ისე გავიხსენოთ, როცა შეგვეძლო და ძალა მოგვდევდა, ისპახანამდეც ჩავსულვართ.

ესაუბრა

**მანანა ნოზაძე**

# დავით ჩიხელიძე: ერთობლივი წვრთნების გაუქმება აშშ-ის მხრიდან ღალატს ნიშნავს!



**როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ წვრთნების გადადებით „ქართული ოცნება“ დასავლეთს აშორებს საქართველოს, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომელი პარტიის ძალისხმევით მოხდა საერთაშორისო სწავლების „ღირსეული პარტნიორის“ პირველად ჩატარება.** ის პირველად 2015 წელს ჩატარდა, შემდეგ კი სისტემატური ხასიათი მიიღო. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო სწავლების მიზანს მხოლოდ საქართველოს დახმარება არ წარმოადგენდა, არამედ ის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო, როგორც საქართველოსთვის, ასევე აშშ-სთვის, მისი გაუქმებით კი აშშ-მა ის ტოტი მოჭრა, რომელზეც თვითონ ზის..., – წერს ექსპერტი დავით ჩიხელიძე აშშ-ის მიერ საქართველოში „ღირსეული პარტნიორის“ სწავლების განუსაზღვრელი ვადით გადადების თაობაზე.

ჩიხელიძე აღნიშნავს, რომ აშშ-მა გადაწყვეტილება სპონტანურად, ემოციურ ფონზე მიიღო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სწავლების გადადების ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს. მისივე თქმით, სომხეთში დაგეგმილ საერთაშორისო სწავლებას „ღირსეული პარტნიორის“ გაუქმებასთან კავშირი არ აქვს, ის სომხეთში გასულ წელსაც ჩატარდა, ამ თემით სპეკულირება უადგილოა. „ერთობლივი წვრთნების გაუქმება აშშ-ს მხრიდან ღალატს ნიშნავს, რომელიც მან საქართველოს წინაშე ჩაიდინა, ზოგადად მსგავსი წვრთნები, ორი (მრავალი) ქვეყნის ერთმანეთისადმი ერთგულებას და დამოკიდებულებას აჩვენებს, წვრთნების გაუქმება კი ცალსახად ღალატზე მიანიშნებს, ასევე გასათვალისწინებელია ე.წ. სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც როგორც საქმით დასტურდება აშშ-თვის შინაარსისგან დაცლილ ქაღალდს ნიშნავს და არაფერს აკეთებენ, რომ სტრატეგიული პარტნიორის ცნება საქმით განმტკიცდეს. როგორც წესი, საერთაშორისო სწავლების გაუქმება-გადადება, სწავლებამდე რამდენიმე დღით ადრე არ ხდება, რადგან მასში მონაწილე ქვეყნებს ანგარიში უნდა გაუწიო და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენო...

ვიმეორებ, სწავლება პირველად 2015 წელს ჩატარდა, შემდეგ კი სისტემატური ხასიათი მიიღო. გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო სწავლების მიზანს მხოლოდ საქართველოს დახმარება არ წარმოადგენდა, არამედ ის ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო როგორც საქართველოსთვის, ასევე აშშ-სთვის, მისი გაუქმებით კი აშშ-მა ის ტოტი მოჭრა, რომელზეც თვითონ ზის... რაც შეეხება, სომხეთში დაგეგმილ საერთაშორისო სწავლებას, მას „ღირსეული პარტნიორის“ გაუქმებასთან კავშირი არ აქვს, ის სომხეთში გასულ წელსაც ჩატარდა, ამ თემით სპეკულირება უადგილოა“, – წერს დავით ჩიხელიძე.



# სომხეთში ამერიკელი ჯარისკაცების მონაწილეობით სამხედრო წვრთნები ჩატარდება

**სომხეთში ამერიკელი ჯარისკაცების მონაწილეობით სამხედრო წვრთნები ჩატარდება, – ამის შესახებ განცხადებას სომხეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახური ავრცელებს.**

მათი ცნობით, სწავლება **Eagle Partner** 2024 სომეხი და ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით სომხეთში 15-24 ივლისს გაიმართება.

„საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობისთვის მოსამზადებლად, სომხურ-ამერიკული ერთობლივი წვრთნები **Eagle Partner** 2024, სომხეთში 15-დან 24 ივლისამდე გაიმართება. წვრთნებში მონაწილეობას სომხეთის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბრიგადის სამხედრო პერსონალი, ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის სახმელეთო ჯარები და კანზასის ეროვნული გვარდია მიიღებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ინფორმაციისთვის, **Eagle Partner**-ის პირველი სწავლება სომხეთში 2023 წელს ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ სწავლება კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობების სტაბილიზაციის მიზნით, სამშვიდობო ამოცანების შესრულებას ითვალისწინებს.



# ფეხზე დგება დაცემული საქართველო!..

ქვეყნის ნარი
ქცეულიყოს
მალე - ვარდად,
გვინდა – მზემ და ...
შემართებამ
აქ ათენოს...
ქართველობა
ქართველურად
აელვარდა, –
ფეხზე დგება
დაცემული
საქართველო!..
სიხარულით,
როცა ბრწყინავს
ცა – მარჯნებად,
გაიშლება წინ,
როდესაც –
გზა, უხვანჯო,
დამარცხებაც
არის, როცა –
გამარჯვება
გამარჯვებას
ასჯერ, მეტად,
გაუმარჯოს!..
მამულს, როცა –
დაჭრილ დღეებს
ვერ ვუმთელებთ,
სიყვარულიც, –
მაშინ, ვეღარ –
თავთავდება...
დღეს ჩვენ ვლოცავთ
სახელოვან
ფეხბურთელებს,
ამ – დიდგორულ
და... შამქორულ
თავდადებას!..
ერთგულება
და... ერთობაც

**ჩვენს სანაქებო ფეხბურთელთა ნაკრებს!**

შველა არი,
სიმართლემ და...
რწმენამ უნდა
გაგვამთელოს,
არ გავქრებით,
ჩვენთან არის
ზენაარი,
ფეხზე დგება
წაქცეული
საქართველო!..
ქვეყნის ნარი
ქცეულიყოს
მალე – ვარდად,
გვინდა –
მზემ და... შემართებამ
აქ ათენოს...
ქართველობა
ქართველურად
აელვარდა, –
ფეხზე დგება
დაცემული
საქართველო!!!..

**ფარნა რაინა,**
თელავი 26. VI. 2024 წ.

**P.S.** **მოაზროვნე ერისთვის, თურქეთთან და ესპანეთთან დამარცხება უფრო ჭკუისსასწავლებელია, ვიდრე – საბერძნეთთან და პორტუგალიასთან გამარჯვება... ვფიქრობ, ეს აზრი გასათვალისწინებელია ცხოვრებაშიც, როგორც სპორტულად, ისე – პოლიტიკურადაც...**

# განათლების მინისტრი – შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის უნივერსიტეტში



**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გიორგი ამილახვარი შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ესტუმრა, სადაც საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა დაათვალიერა და უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას გაეცნო.**

ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა შეხვედრა გამართა უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. მან ისაუბრა სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, მათ შორის, უნივერსიტეტის მიღწევებზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდამჭერ ინიციატივებსა და არსებულ სიახლეებზე.

გიორგი ამილახვარმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალს მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომისთვის.

ინტერაქციული შეხვედრის ფარგლებში უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით უშუალოდ მინისტრისგან მიეღოთ ინფორმაცია.

უნივერსიტეტში ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ნოდარ პაპუკაშვილი და ქალაქ ზუგდიდის მერი მამუკა წოწერია.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდის უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების პროგრამებთან ერთად ხორციელდება 32 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სხვადასხვა მიმართულებით. შესაბამისად, სტუდენტები თეორიულ განათლებასთან ერთად ადგილზე გადიან საჭირო პრაქტიკას.

ამ ეტაპზე უნივერსიტეტში 3 სამაგისტრო, 8 საბაკალავრო, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადების, 28 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 18 მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების კურსი ხორციელდება.

ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

# სატირა(ლი) ამბები

## არა თქვა მადლობა, არ დაუთმო ადგილი, „იშპიონე“...

**ნაციონალური** მოძრაობის მიმდევართა კამპანიამ, რომელიც ჩვენთვის საამაყო ფეხბურთელთა მიერ ბიძინა ივანიშვილისთვის გადახდილ გულწრფელ მადლობას მოჰყვა, კიდევ ერთხელ გააშიშვლა ნაცების ნამდვილი არსი. ფეხბურთში მიღწეული წარმატების ეიფორიამ გარეთ გამოიტანა მათი ყველა ის თვისება, რომელთა დაფარვას უშედეგოდ ცდილობენ, მაგრამ ემოციურ მომენტებში მაინც ვლინდება და აშკარა ხდება: **არ თქვა მადლობა; არ დაუთმო ადგილი; დასცინე რწმენას; უარჰყავი სხვისი ცოდნა და გამოცდილება; დააბეზღე გვერდში მდგომი; იძალადე, თუ ვინმეს აზრი მიუღებელია...**

ეს არ არის ნორმას აცდენილი ერთეული ქცევა, არა მხოლოდ პარტიული დავალება, ეს იდეოლოგიაა, რომელსაც წლებია, ნერგავენ დასავლეთისა და ევროპის სახელით. მიზანი ერთია: საზოგადოების ქსოვილის მოშლა, დეგრადირება, რადგან იდეოლოგიით გაჟღენთილი და ღირებულებებისგან დაცლილი საზოგადოება მათთვის ადვილი სამართავი ჩანს...



**შალვა პაპუაშვილი,**
საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

## „...თუ ამ ხალხს არ ჰკითხავენ, მაშინ სტრასბურგის სასამართლოს ჰკითხონ!“

**...ის, რომ** სააკაშვილი პოლიტიკური პატიმარია, ამასთან დაკავშირებით შეეკითხონ ადამიანებს, ვინც მონაწილეობას იღებდა ხარჯების გაწევაში, როდესაც სააკაშვილი ბოტოქსის გასაკეთებლად მიდიოდა; ჰკითხონ იმ ადამიანებს ასევე, ვინც ყოველდღიურ რეჟიმში განიცდიდა ზეწოლას; ჰკითხონ იმათ, ვისაც ფული წაართვეს; ან ჰკითხონ ბუტა რობაქიძის დედას; ან გირგვლიანის განადგურებული ოჯახის წევრებს ჰკითხონ!..

და თუ ამ ხალხს არ ჰკითხავენ, მაშინ სტრასბურგის სასამართლოს ჰკითხონ!..



**გია ვოლსკი,**
საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი

### თანამედროვე ფოლკლორი

## ბაზალეთიდან – ალბიონამდე






ლეიბორისტებს ინგლისში
ტრიუმფს ულოცავს შალიკო,
ვინმეს ხომ უნდა შეუძვრეს
თანამედროვე დარიკო?!
ფანჩატურში ხომ დათესა
ძმობა, ერთობა, კომუნა,
რატომღაც ასე ჰგონია
მხარს აუბამენ დროულად.
ნათელაშვილო, იცოდე
დიდი სამეფო სულ სხვაა,
აქ რომ „ბლატაობ“ მიშათი,
იქ არაფერი გაგივა...

**ჯოჯო პირველაშვილი**



# მადლიერებას ლომთა ხვედრია!



**დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ: ისინი განსხვავებული სასმისებით ისევე მიირთმევენ კეთილი ადამიანებისა და მადლიერების სადღეგრძელოს, როგორც რიგითი მოკვდავნი, მაგრამ ამ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების, დავარცხნილი წინადადებებისა თუ ორსართულიანი ტექსტების მიღმა გულღრძო ნაციონალთა და მათ სატელიტთა თუ შნირთა სრული კოჰორტაა წარმოდგენილი მთელი სიავითა და სიბნელით.**

სხვაგვარად დასახელებულ ბრბოს ქამელეონებს ან თუნდაც ორსახოვან იანუსებს ვუწოდებთ, რადგან ცხოვრებასა თუ საქმიანობაში, სუფრაზე დაფრქვეული მარგალიტებისგან განსხვავებით, უკეთურობა და ბოროტება გამოარჩევთ.

ვიდრე ცინცხალ სიბილწეზე გადავალთ, უახლოესი წარსული გავიხსენოთ, როცა ფაშისტური სისტემის ადეპტთა სიშლეგემ ზენიტს უწია და თვით ისეთ სასიქადულო მამულიშვილსა და ქველმოქმედს შეეხო უშუალოდ, როგორიც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ამღორძინებელი და პრეზიდენტი, სულმნათი **ბადრი პატარკაციშვილი** გახლდათ.

დიახ, როცა მაშინდელმა რეჟიმმა მოითხოვა, ტელეიმედის დამფუძნებელს იმ სახელოვანმა სპორტსმენებმა უმუხთლეს წინა დღით მის მხარდასაჭერად შეკრებილთაგან საკუთარი ხელისმოწერის უკან გაწვევით, ვისაც, წესით და რიგით, თუ თავმოყვარეობა გააჩნდათ, თავიანთი გადაფურთხებული არ უნდა აელოკათ და სამაგალითო მეცენატის ამაგი წყალში არ უნდა ჩაეყარათ.

სხვათა შორის, აღნიშნული უპრინციპობის ამსახველი წერილი ჩვენს გაზეთში იმავე დღეებში გამოქვეყნდა, მაგრამ ვინაიდან ძეშეცთომილთაგან ყველა აღარაა ცოცხალი, პერსონაჟებს ამჯერად არ დავასახელებთ და მხოლოდ სტატიის სათაური ვიკმაროთ: „ვერ იდავითეს“!

ბუნებრივია, იმდროინდელ ძვალთა მსხვრეველთა სისასტიკის გათვალისწინებით ყველას გმირობას ვერ მოვთხოვდით, მაგრამ როცა პოპულარული თანამედროვე ღირსებას უღალატებს და რაინდობაში ჩაიჭრება, მომავალ თაობებში ნიჰილიზმის დამკვიდრებამდე გზა შესამჩნევად მოკლდება. უფრო ხატოვნად თუ გნებავთ, როგორც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები იტყოდნენ – „დურნოი პრიმერ ზარაზიტელენ“.



და აი, ძალაუნებურად მივადექით ტკბილ-მწარე აწმყოს – ერთის მხრივ, გერმანიის სტადიონებზე დაბადებულ 21-ე საუკუნის ქართულ (ევროპულ, როგორც მოდაშია) ფეხბურთსა და, მეორეს მხრივ, მონატრებული უდიდესი წარმატებით დაბოღმილი თუ ჩირქის ჯერაც გაუმსკდარი გროვის სინონიმი ოპოზიციის მორიგ სიდამპლეს.

დიახ, პროფესიონალ ხორცმეტთაგან რაღა უნდა გაგვიკვირდეს, მაგრამ შური და სიფლიდე თურმე მაინც უსაზღვროა.

საუბარია იმ მადლიერებაზე, რომელიც ჩვენი საამაყო ეროვნული ნაკრების წევრებმა ბატონი **ბიძინა ივანიშვილის** მიმართ 30-მილიონიანი პრემიის დამსახურებულად გადაცემის გამო გამოხატეს.

ერთდროულად კუჭ და ენააშლილები განსაკუთრებით ბიჭების მოწოდებამაც გამოიყვანა მწყობრიდან – კარგი იქნება, თუ ივანიშვილს სხვა კომპანიები თუ ბიზნესმენები მიბაძავენო. ვეკითხებით ორფეხა ერთუჯრედიანებს: რა არის მსგავს მიმართვაში ცუდი – ამით ხომ სამამულო ფეხბურთი მხოლოდ მოიგებს?

მათი ამორალური ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ანათემას უეფაც უნდა გადავცეთ, რომელმაც დაპირებული ბონუსით მიმდინარე ფორუმზე თავგამოჩენილი გმირობისათვის ჯვაროსნები ასევე გულუხვად დააჯილდოვა.

**მოკლედ, ეს ის ტოქსიკური შემთხვევაა, კუზიანს სამარეც რომ ვერ გაასწორებს!**

**გია პლატონიშვილი**

◎ ოვალური სიმწარე

# აწმყო თუ არა გვწყალობს...

**გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, რომ სპორტში არსებობს უხერხული მეტოქის კომპლექსი, რომელიც, გვინდა თუ არა, ერთობ ანგარიშგასაწევი ფაქტორია და ტაბლოზე მაშინაც კი აისახება, როცა ძალთა ობიექტური ბალანსის გათვალისწინებით კონკრეტულად იმ შემთხვევაში ძნელად განსაჭვრეტია.**

ბორჯღალოსანთათვის ერთ-ერთ ამოუცნობ ფენომენს ფიჯის ეგზოტიკური ნაკრები წარმოადგენს, რომელსაც საზაფხულო ტესტების პირველი შეხვედრის ეგიდით ბათუმში ვუმასპინძლეთ და 8-დან მე-6 ბრძოლა დავთმეთ – 12:21 (9:13).

თითქოს მატჩის წინ ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებად გვქონდა: კუნძულელები საერთაშორისო რეიტინგშიც გვისწრებდნენ (ამ გამარჯვებამდე მათ მე-11 ადგილი ეკავათ, ხოლო ჩვენ – მე-13) და ვერც ოპტიმალური შემადგენლობა დავახვედრეთ სტუმრებს (მაგალითად, სხვათა მსგავსად გვაკლდა გუნდის კაპიტანი და ლიდერი **შარიქაძე, ნინიაშვილი** კი შექმნილი ვითარების გამო 11 ნომრად ვათამაშეთ).

სამაგიეროდ, როგორც ხშირად გვჩვევია, გადაჭარბებულ აქცენტს ვაკეთებდით ისეთ ეფემერულ, გნებავთ გარკვეულწილად ცრუ რწმენასთან გაიგივებულ ნიუანსთან, როგორიცაა: „აჭარაბეთ არენაზე“ ხომ თვით იტალია დავამარცხეთო! იცოცხლეთ, წარსულის საამაყო ფურცლები ტკბილად გასახსენებელია, მაგრამ აწმყოს მხოლოდ მწარე რეალობა განსაზღვრავს და უნდა ვაღიაროთ, რომ **რიჩარდ კოკერილი** ჯერჯერობით ძიების პროცესშია, რაც ავტომატურად გამორიცხავს მის შეგირდთა დავალდებულებას, გინდა თუ არა, კარგად აწყობილი თუნდაც ფიჯის დონის მექანიზმი დაშალეო.



ტრადიცია გვკარნახობს, რომ იმედი ვიქონიოთ, ეს დროც მალე მოვა, ამჟამად კი მოთმინებით დაველოდოთ უახლოესი მძიმე სატესტო გამოცდების ჩაბარებას: 13 ივლისს იაპონიაში და 20 ივლისს ავსტრალიაში.

◎ ევრო – 2024

# ვნებათა კრიალოსანი

**საფეხბურთო ზესახელმწიფოებს – გერმანიასა და ესპანეთს პრინციპული მეტოქეობა და ძველი ანგარიშები აკავშირებთ, რომელიც ევრო – 2024-ის ნაადრევ ფინალად მიჩნეულ მეოთხედფინალამდე დაახლოებით თანაბარი იყო: 9 მოგება, 9 ფრე და 8 წაგება ბურთების შეფარდებით 31:32.**



შტუტგარტში დადგმული დრამატული სპექტაკლის შემდეგ ბალანსი უცვლელი დარჩა – 1:1 (1:2), მაგრამ ნახევარფინალში (დამატებით დროში) გასულ სტუმრებს წარმატების მოპოვება საკმაოდ ძვირი დაუჯდათ, რადგან კროოსთან შეჯახების შემდეგ, რომელმაც შთამბეჭდავი კარიერის უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა, მძიმე ტრავმა მატჩის დებიუტშივე მიიღო პედრიმ, ხოლო ყვითელი ბარათების გამო ხვალ ფრანგებთან ასევე ვერ ითამაშებენ კარვახალი, მორატა და ლე ნორმანი.

ტიტანთა ჯახი აღსანიშნავი იმითაც გახლდათ, რომ მთავარი როლები რეზერვისტებმა შეასრულეს. კერძოდ, ანგარიში პედრის შემცვლელმა ოლმომ გახსნა, ძირითადი დროის მიწურულს ბუნდესმანშაფტი ვირტმა იხსნა, ხოლო მაშინ, როცა ყველანი პენალტების სერიისთვის ემზადებოდნენ, ოლმომ უკვე საგოლე ასისტენტობა მერინოს გაუწია, რომელმაც უზუსტესი თაურით გააშეშა ნოიერი.

დასახელებულ წყვილთან შედარებით გაცილებით პრაგმატული ძიძგილაობა გაჩაღდა საფრანგეთ – პორტუგალიის არანაკლებ თვალსასეიროდ მიჩნეულ პლეი-ოფში, რომლის ბედიც პენალტების სერიაში ფელიქსის საბედისწერო დარტყმამ გადაწყვიტა – ბურთი ძელს მოხვდა (5:3).

კიდევ უფრო მდორე თამაშით, უფრო სწორად ანტიფეხბურთით გააღწია ნახევარფინალში ინგლისმა, რომელიც კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მდევრის როლში საკმაოდ სიმპათიურ შვეიცარიასთან, მაგრამ მაინც მიიყვანა საქმე პენალტებამდე და სამადლო გამარჯვებაც მოიპოვა – 1:1 (4:3).

ფეხბურთის სამშობლო ზეგ ნახევარფინალში ნიდერლანდებს შეხვდება, რომელმაც უშეღავათო ბრძოლის მიწურულს გატეხა პირველი ტაიმის ბოლოს დაწინაურებულ თურქთა ღირსეული წინააღმდეგობა – 2:1.

**მინაწერი:** წერილის დასაწყისში ნახსენებ მასპინძლებს ერთბაშად 3 ტრიუმფის საიუბილეო თარიღი ჩაამწარდათ: მუნდიალის პირველად მოგების 70, მეორედ მოგების 50 და ჯერჯერობით უკანასკნელად მოგების 10 წლისთავი (შესაბამისად 1954, 1974 და 2014 წლებში).





# ლეგენდარული ლიანა ისაკაძე გარდაიცვალა...

**დიდია ყველას გულისტკივილი ქალბატონი ლიანა ისაკაძის გარდაცვალების გამო.**

**მან საქართველოს სახელი მსოფლიოში წარმოაჩინა და ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება, ეროვნული და მსოფლიო მუსიკალური აზროვნება ღვთივმომადლებული თავისი ელვარე ნიჭით შეუდარებლად განამშვენა.**

**სიკეთით, უფლისა და მოყვასის სიყვარულით სავსე დიდებული ხელოვანი ახლა უკვე მარადიულობის გზას შეუდგა.**

**აღვავლენთ ლოცვებს ქალბატონი ლიანას უკვდავი სულისთვის, რათა უფალმან იგი სავანესა მართალთასა დაამკვიდროს, ხოლო ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მომადლოს მშვიდობა და მისთვის ლოცვის ძალა.**

**ილია II**

ქალბატონი **ლიანა** ბრწყინვალე ტალანტით სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. უნიკალური ხელწერით გამორჩეულმა საშემსრულებლო და სადირიჟორო მოღვაწეობამ მას მსოფლიო სახელი და აღიარება მოუტანა. მისმა ნაყოფიერმა შემოქმედებამ ხელი შეუწყო კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას და საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ სამუსიკო ტრადიციებს.

გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ ქალბატონი ლიანას ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მთელ ჩვენს საზოგადოებას.

**ირაკლი კობახიძე,**
**საქართველოს პრემიერ-მინისტრი**

---

„**ლიანა ისაკაძე** გახლდათ თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მევიოლინე, უდიდესია მისი წვლილი მუსიკალური ხელოვნების განვითარების, პოპულარიზაციის საქმეში. მისი შესრულება გამოირჩეოდა არტისტიზმით, ღრმა მუსიკალურობითა და ვირტუოზულობით.

საქართველოს სახალხო არტისტს სხვა უმნიშვნელოვანეს ჯილდოებთან ერთად მიღებული აქვს ღირსების ორდენი, თბილისისა და ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება.

გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებთ ქალბატონი ლიანა ისაკაძის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და მთელ ჩვენს საზოგადოებას“, – აღნიშნულია სამძიმრის წერილში.

მუსიკოსი, მევიოლინე ლიანა ისაკაძე 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**ბიძინა ივანიშვილი,**
**ეკატერინე ხვედელიძე**

**მწუხარებას გამოვხატავ სახელოვანი ქართველი მუსიკოსის და გამორჩეული ადამიანის ლიანა ისაკაძის გარდაცვალების გამო. თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მევიოლინეს და მუსიკოსის სახელს უკავშირდება არაერთი წარმატებული პროექტის შექმნა და ჩვენი ქვეყნის სახელის ღირსეული წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე. ვუსამძიმრებ ქალბატონი ლიანა ისაკაძის ოჯახს, კოლეგებს და მის თაყვანისმცემლებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.**

**შალვა პაპუაშვილი**
**პარლამენტის თავმჯდომარე**

---

**ლიანა ისაკაძემ დაამთავრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის „ნიჭიერთა ათწლედი“, პროფესორ ლეო შიუკაშვილის კლასი. გამორჩეული მუსიკალური მონაცემების გამო ადრეული ასაკიდან გამოჩნდა სცენაზე. მან, როგორც კონკურსგარეშე მონაწილემ, ორჯერ მოიპოვა ლაურეატის წოდება: 1957 წელს (თბილისი, საქართველოს რესპუბლიკური კონკურსი) და 1960 წელს (ბაქო, ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი), 1961 წელს კი საბჭოთა კავშირის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსზე მეორე პრემიის მფლობელი გახდა.**

ლიანა ისაკაძემ 1968 წლიდან მოსკოვის კონსერვატორიაში გააგრძელა სწავლა. მისი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი მუსიკოსი და პედაგოგი დ. ოისტრახი. 19 წლისამ მოიპოვა პირველი პრემია მარგერიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე პარიზში (1965 წ.), მოგვიანებით კი გახდა კიდევ ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონკურსის: ჰელსინკიში სიბელიუსის სახელობის საერთაშორისო კონკურსის (I პრემია, 1970) და მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის (III პრემია,1970) ლაურეატი.

1965 წლიდან ლიანა ისაკაძე დიდი წარმატებით მართავდა კონცერტებს ევროპის, აზიისა და ამერიკის ცნობილ საკონცერტო დარბაზებში.

აღსანიშნავია, რომ 1994 წელს ლიანა ისაკაძის თაოსნობით გერმანიაში, ქალაქ ინგოლშტადტში, დაარსდა საქართველო-გერმანიის კულტურის ცენტრი, რომლის ბაზაზე დღემდე მოღვაწეობს ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრი.

ლიანა ისაკაძე, როგორც გამორჩეული მუსიკოს-შემსრულებელი, შესულია „მე-20 საუკუნის 2000 საუკეთესო მუსიკოსის“ სიაში (კემბრიჯის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ცენტრი, 2001 წ.).

ქართველ მსმენელს განსაკუთრებულად უყვარდა ლიანა ისაკაძე და მისი კონცერტები უმნიშვნელოვანესი კულტურული მოვლენა იყო საქართველოში. ეს, ერთი მხრივ, განპირობებული იყო მისი, როგორც უმაღლესი დონის მუსიკოს-შემსრულებლისადმი, დიდი ინტერესით და, ასევე, მისი უბადლო სცენური ხიბლით.

**ლიანა ისაკაძე იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.**

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო უსამძიმრებს ლიანა ისაკაძის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.**

## ხსოვნა

უახლოესი მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“ დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ კოლეგასა და მართლაც ალალ და გულიან კაცს ზურა კორკოტაძეს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის, შვილების სამეგობროზე თავგადადებული, მზრუნველი ადამიანის

**ნანა კორკოტაძის**

გარდაცვალების გამო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.



# ხულოში ავტომობილი ხევში გადავარდა

**ხულოში ავტოსაგზაო შემთხვევას მოზარდი ემსხვერპლა.**

არსებული ინფორმაციით, ხიხაძირი-კალოთას დამაკავშირებელ გზაზე მსუბუქი ავტომობილი ხევში გადავარდა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა კიდევ ორი ადამიანი, რომლებიც კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც „კვირას“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.



# მავრიტანიის სანაპიროსთან მიგრანტებით სავსე გემი ჩაიძირა



სულ მცირე, 89 ადამიანი დაიღუპა დასავლეთ აფრიკაში, მავრიტანიის სანაპიროსთან, ატლანტის ოკეანეში სათევზაო ნავის ჩაძირვის შედეგად. მათი ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. ათობით უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მავრიტანიის სანაპირო დაცვამ განაცხადა, რომ მხოლოდ ცხრა მგზავრი, მათ შორის ხუთი წლის ბავშვი, გადაარჩინეს.

ვარაუდობენ, რომ ბორტზე სულ 170 ადამიანი იმყოფებოდა.

გადატვირთულ ნავზე იყვნენ მიგრანტები მავრიტანიიდან, სენეგალიდან და გამბიიდან. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მიაღწევდნენ კანარის კუნძულებს, ესპანეთის ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს აფრიკის სანაპიროდან დაახლოებით 100 კილომეტრში და თავშესაფარს მოითხოვდნენ ევროკავშირში.

ადგილობრივი მეთევზეების ასოციაციის ხელმძღვანელმა იალი ფოლმა განაცხადა, რომ შეიძლებოდა უფრო მეტი დაღუპული ყოფილიყო, რადგან ნავი რამდენიმე დღის წინ ჩაიძირა და ადგილობრივებმა დამარხეს პირველი ცხედრები, რომლებიც წყალმა ნაპირზე გამორიყა. მიგრანტები, რომლებიც ცდილობენ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში ჩასვლას, ხშირად მოგზაურობენ გადატვირთული ნავებით და ტივებითაც კი, რომლებიც არ არის განკუთვნილი გრძელი საზღვაო მოგზაურობისთვის. ხშირად მათ არ აქვთ საკვები და სასმელი წყალი.

# რეგულირდება თუ არა ზღვაზე პარაშუტით ფრენა?

**ბათუმში პარაშუტი ჩამოვარდა, ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი კი დაშავდა!**

გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 275-ე მუხლით დაიწყო, რაც წყლის ტრანსპორტის ექსპლუატაციის ან უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.



ბათუმის შემთხვევაში საქმე გვქონდა კატერზე გამობმული პარაშუტით ფრენასთან, რა დროსაც ქარის მოულოდნელი ამოვარდნის შემდეგ ფატალური შემთხვევა მოხდა. როგორც გავარკვიეთ, საქმიანობის ნებართვის აღების შემდეგ, ბიზნესოპერატორების შემდგომი კონტროლი აღარ ხდება. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში გვითხრეს, რომ ეს მათ კომპეტენციას სცდება, ბათუმის მერიაში კი მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ არკვევდნენ, ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი მსგავსი საქმიანობის მონიტორინგზე.

ტურიზმის სფეროს სპეციალისტების ნაწილს მიაჩნია, რომ სამაშველო სამსახურია ის რგოლი, რომელიც წესით სერვისის მიმწოდებელ ბიზნესებს უნდა აფრთხილებდეს კლიმატური პირობების ცვლილების, თუ სხვა მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

რეგულირება ხდება ნებართვის აღების მომენტში, ისე არ არის, რომ ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. როცა იღებ ნებართვას, ასეთი ტიპის საქმიანობა აწარმოო, გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდე, მაგრამ რასაკვირველია სასურველი იქნებოდა კომპეტენტური სამსახური, მაგალითად, სამაშველო სამსახური ახდენდეს ამის რეგულარულად გადამოწმებას.

გუშინ ისეთი ფაქტი მოხდა, რისი აცილებაც ძალიან რთული იქნებოდა. უცებ ამოვარდა ძლიერი ქარი და ასეთი სამწუხარო შემთხვევა მოხდა, თუმცა იმის შესახებ, რომ კლიმატური პირობები იცვლება ან საფრთხეა მაღალი ტალღების ან ძლიერი ქარის შესახებ ასეთი ტიპის ინფორმაციას სამაშველო სამსახური უნდა აძლევდეს ალბათ იქ ადგილზე ბიზნესის წარმომადგენლებს, რომლებიც ამ ტიპის სერვისით არიან დაკავებული, შესაბამისად მათ ექნებათ დრო, რაღაცნაირად იმოქმედონ და ეს საფრთხეები თავიდან აიცილონ, რაც ვფიქრობ, გუშინ არ გაკეთდა.

ტალღების შესახებ შეტყობინებას აკეთებენ, არ შევსწრებივარ ფაქტს, რომ არ ყოფილა გაფრთხილება, მაგრამ სხვა საფრთხეების შესახებ რეგულარული გაფრთხილება და კომუნიკაცია ამ ბიზნესებით დაკავებულ ადამიანებთან სამაშველო სამსახურს არ აქვს. სამაშველო სამსახურს იმიტომ ვამბობ, რომ ყოველწუთიერი შეხება აქვს პლაჟთან, ისინი აკონტროლებენ პერიმეტრს და უმჯობესი იქნებოდა, ეს სამსახური აკეთებდეს ამას და ცალკე სამსახურის ჩართვა აღარ არის საჭირო“, – განაცხადა დარგის სპეციალისტმა თემურ დიასამიძემ.

ზღვაში პარაშუტით ფრენა არ მიიჩნევა ექსტრემალურ სპორტად, რაც გასული წლიდან ახალი წესების შესაბამისად რეგულირდება პარაპლანით ფრენის შემთხვევაში. პარაგლაიდინგის ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე ირაკლი კაპანაძე თვლის, რომ ამ მიმართულებასაც სჭირდება რეგულირება, თუმცა არა ცენტრალურ დონეზე...

## გილოცავთ

## ნაადრევად დაკაცებული ტყუპები!



ეს ორი მოუსვენარი ვაჟკაცი, მეორე ათეულში გადამდგარნი, ულამაზესი ძმები, ჩვენი კოლეგების – თიკო თვალაძისა და ახლახან მოულოდნელად გარდაცვლილი ჟურნალისტის, ჩვენი მეგობრის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დაუღალავი რეპორტიორის გია გაბრიჭიძის შვილები – რენე და დათა გაბრიჭიძეები არიან. გარეგნობით ერთმანეთისგან განსხვავებულ ძმებს საერთო, რაც მშობლებისგან ერგოთ ხალასი იუმორი, სიყვარული და სწავლებისადმი (ციფრული ტექნიკისადმი!) ერთგულება აქვთ!

რედაქციის სახელით დაბადების დღეს ვულოცავთ ბიჭებს, ბედნიერებას, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებასა და სურვილების ახდენას ვუსურვებთ, რაც მამის სიკვდილით ნაადრევად დაკაცებულ პატარებს ჟანგბადივით სჭირდებათ...

**უფალი გფარავდეთ, შვილებო!**

**დიდი სიყვარულით „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები**

## ანაკლიაში ახალგაზრდული ბანაკი გაიხსნა



**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ანაკლიის ბანაკი გახსნა და ბანაკის მონაწილე ახალგაზრდებთან შეხვედრა გამართა.**

მინისტრმა ახალგაზრდებს სიტყვით მიმართა, მადლობა გადაუხადა მათ ბანაკში მონაწილეობისთვის და სასიამოვნო დასვენება უსურვა.

ბანაკის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობა ასევე მიიღეს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი გუგუჩიამ, ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა დავით გურგენიძემ.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ანაკლიის ბანაკი 13 ნაკადად განხორციელდება და ჯამში 3120 ახალგაზრდას უმასპინძლებს. თითო ნაკადზე ბანაკი მასპინძლობს 18-25 წლის 240 მონაწილეს. მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. პირველი ნაკადის ფარგლებში ბანაკში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები იმყოფებიან.

ბანაკის მიზანია: ახალგაზრდებისთვის აქტიურ დასვენებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია, მათი ფიზიკური, ინტელექტუალური პოტენციალის გამოვლენის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ეროვნული და ევროპული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, პატრიოტული ღირებულებების წახალისება.

საბანაკე პროგრამა 5 დღისგან შედგება და ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩაერთონ საკვანძო კომპეტენციების განვითარებისთვის მიმართულ საგანმანათლებლო, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებსა და შეხვედრებში.

15 ივლისიდან შაორის ახალგაზრდული ბანაკიც ამოქმედდება.

## სულხან გველესიანის ვარსკვლავი



**თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „დაისი" წარმოდგენა გაიმართა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თეატრის სოლისტის სულხან გველესიანის ვარსკვლავი გაიხსნა.**

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 172-ე სეზონი ზაქარია ფალიაშვილის „დაისით" დასრულდა. აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ ყოველი სეზონი ამ წარმოდგენით იხურება.

## ქართული კუთხეების ფესტივალი — 2024



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე და სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი დავით წითლიძე „ქართული კუთხეების ფესტივალი 2024-ის" გახსნის ღონისძიებას დაესწრნენ.** ფესტივალში 60-მდე ღვინის მწარმოებელი კომპანია, ასევე თაფლის, ჩირის, ყველისა და სხვა პროდუქციის მწარმოებელი მცირე მეწარმეებიც მონაწილეობდნენ. მინისტრის მოადგილემ, მისასალმებელი სიტყვით გამოსვლის დროს, ღონისძიების ორგანიზატორებს, „წისქვილი ჯგუფს" და „მეიდან ჯგუფს" მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობები ქართული პროდუქციის ცნობადობას და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნას ზრდის.

„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელს უწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მეწარმეებს წარმოების ზრდაში, ასევე, მარკეტინგის მიმართულებით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური საბჭო ქართული ხარისხის ნიშანს ანიჭებს განსაკუთრებული ტექნოლოგიით დამზადებულ ან საგემოვნო თვისებებით გამორჩეულ პროდუქციას. დღეს გამართულ ქართული კუთხეების ფესტივალზე მეწარმეებს ქართული ხარისხის ნიშნის მქონე პროდუქციაც აქვთ წარმოდგენილი", – აღნიშნა თენგიზ ნასარიძემ.

„ქართული კუთხეების ფესტივალი 2024-ის" ორგანიზატორის „მეიდან ჯგუფის" წარმომადგენლის ნათია ცეცხლაძის განცხადებით, ქართული ღვინის და, ზოგადად, ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა ძალიან მნიშვნელოვანია; აღნიშნული ფესტივალიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

## ილია თოფურიას შესახებ დოკუმენტური ფილმის პრემიერა 19 სექტემბერს ესპანეთში შედგება

**UFC-ის პირველი** ქართველი ჩემპიონის ილია თოფურიას შესახებ ესპანურმა კინოკომპანიებმა, **Movistar+**-მა და **Filmax**-მა დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, რომლის პრემიერაც ესპანეთის კინოთეატრებში 19 სექტემბერს შედგება.

დოკუმენტური ფილმის სახელია „მატადორი" და მასში აღწერილი იქნება თოფურიას განვლილი გზა **MMA**-ის ყველაზე პრესტიჟული ორგანიზაციის, **UFC**-ის ქვემსუბუქი წონის ჩემპიონობამდე.

27 წლის მებრძოლმა საჩემპიონო ბრძოლაში ავსტრალიელი ალექსანდრ ვოლკანოვსკი 18 თებერვალს დაამარცხა. სავარაუდოდ, ის ქამარს პირველად მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიცავს და მისი მოწინააღმდეგე ამერიკელი მაქს ჰოლოუეი იქნება.




### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.7613; ევრო - 2.9886;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5303;
100 რუბლი - 3.1346; თურქული ლირა - 0.0844;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6239;
1000 სომხური დრამი - 7.1122.

### ამინდი 8 ივლისისთვის

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +18, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +15, | დღე +33 |
| თბილისი: | ღამე | +21, | დღე +33 |

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 10 ივლისს**